# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 6 ნოემბერი, 2013 წელი.

№213 (7341)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ხალხის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## საააკაშვილმა ჩიორა და გოკა სასწრაფოდ პარიზში გამოიძახა ⑤




## პოლიტიკური გვამი გმირის არის და სალახანას?! ⑤



## აბა, სააკაშვილო, კარგად!

პრეზიდენტი, რომლის მმართველობა პიარტექნოლოგიებმა აცოცხლა და პიარტექნოლოგიებმა „მოკლა“ ⑧

## ჩვენს მეზობელს კი სურს, მაგრამ არანაირი შეცვლილი რეალობა არ არსებობს ④

## ფრიდონ ინჯია:

## ირაკლი ღარიბაშვილი ივანიშვილის მიერ დაწყებულ საქმეს გააგრძელებს ③

## უცნობი პუტინი ⑨




## პოლიტიკური მასტერკლასი ⑥ ნაცეზისთვის

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

ალიან-ჩალიანი

## საფრანგეთის პრეზიდენტი მარგველაშვილს საფრანგეთის ერის სახელით ულოცავს



**ფრანსუა** ოლანდის მისალოც წერილს, რომელიც 1 ნოემბრით თარიღდება უცვლელად გთავაზობთ:

— ბატონო პრეზიდენტო, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებასთან დაკავშირებით, გთხოვთ მიიღოთ, ჩემი და საფრანგეთის ერის გულწრფელი მილოცვა. მივესალმები არჩევნების ისეთ ვითარებაში ჩატარებას, რომელიც ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის წინასწარი ანგარიშის თანახმად კონკურენტული და გამჭვირვალე იყო, რაც ხაზს უსვამს საქართველოს დემოკრატიულობასთან და კანონის უზენაესობასთან სიახლოვეს.

მომავალში სიხარულით ვითანამშრომლებ თქვენთან, რათა გავაღრმავოთ თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობები ჩვენს ორ ქვეყანას შორის. იმედს ვიტოვებ, რომ შეგხვდებით 29 ნოემბერს დაგეგმილ ვილნიუსის სამიტზე, რომლითაც აღინიშნება ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის ახალი ეტაპი. ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულთბილი სალამი, — ნათქვამია ფრანსუა ოლანდის მილოცვაში.

## „თუ ჯანმრთელად ვიქნები, ინაუგურაციას აუცილებლად დავესწრები"

**საქართველოს** ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ახლადარჩეული პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე დასწრების გადაწყვეტილებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მიიღებს. როგორც ექსპრეზიდენტის თანაშემწემ განაცხადა, იგი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრება, თუ ამის საშუალებას ჯანმრთელობის მდგომარეობა მისცემს.

ამასთან, როგორც ყოფილი პრეზიდენტის პრესსამსახურში აცხადებენ, ჯერჯერობით მათ ოფიციალური მიწვევა არ მისვლიათ.

ასევე, პრესსამსახურის ინფორმაციით, ედუარდ შევარდნაძე მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს არც ერთ ინაუგურაციასა და ოფიციალურ ღონისძიებაზე მიწვეული არ ყოფილა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, 17 ნოემბერს გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე მიწვეული იქნებიან მიხეილ სააკაშვილი და ედუარდ შევარდნაძე.

## პრეზიდენტს მოქალაქეობის მინიჭების პირობები შეეზღუდება

**პრეზიდენტს** მინიჭებული უფლება — საქართველოს მოქალაქეობა განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანონით დადგენილი პირობების გაუთვალისწინებლად მიანიჭოს, შესაძლოა, ჩამოერთვას.

„მოქალაქეობის შესახებ" კანონში შესაბამისი ცვლილების საჭიროებაზე გუშინდელ პრესკონფერენციაზე უმრავლესობის წარმომადგენელმა ვახტანგ ხმალაძემ ისაუბრა. დეპუტატი პრეზიდენტის ამ დისკრეციული უფლების კანონით „შებოჭვის" საჭიროებას ხედავს.



როგორც ხმალაძემ განმარტა, კონსტიტუციასა და „მოქალაქეობის შესახებ" კანონში გაწერილია, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომ პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს. დეპუტატის თქმით, ამ მხრივ პირობები ძალიან კარგად არის გაწერილი, თუმცა, იქვე არის ნორმა, რომელიც „ყველაფერს კარგად გაწერილს, ფაქტობრივად, ჯვარს უსვამს".

— ეს ნორმა ამბობს, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანონით დადგენილი პირობების გაუთვალისწინებლად პირს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს. მორჩა, წყალში ჩაცვივდა ყველა ის შემაკავებელი ფაქტორი, რაც კანონშია ჩაწერილი. ეს ნორმა, რა თქმა უნდა, შესაცვლელია. აღნიშნულ ნორმას ყურადღება მას შემდეგ მიექცა, რაც მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე ასეულ ადამიანს მოქალაქეობა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიანიჭა, — განაცხადა ხმალაძემ.

## სად წაიღო უგულავამ ორ მილიონზე მეტი ლარი?



**თბილისის** საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ თბილისის ბიუჯეტიდან თანხების არამიზნობრივად განკარგვის და ფლანგვის ახალი ფაქტები წარმოადგინა.

ზაზა გაბუნიას ინფორმაციით, თბილისის მერიამ 2012 და 2013 წლებში, შპს „თბილისის პორტალს" მერიის ვებგვერდის მომსახურებისათვის 2 მილიონ 130 ათასი ლარი გადაურიცხა.

— იმ ფონზე, როდესაც მერია უამრავ თბილისელს საკმარისი ფინანსების არქონის მოტივით უარს ეუბნება მოქალაქეთათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაზე, 2 მილიონზე მეტი ლარის საიტის ფუნქციონირებისათვის დახარჯვა არის თბილისელების და მათი ინტერესების წინააღმდეგ ცინიკური მოქმედება, — განაცხადა გაბუნიამ.

მისივე თქმით, დოკუმენტაციაში დაფარულია, თუ რისთვის გადაერიცხა ამ მოცულობის თანხა აღნიშნულ შპს-ს, არ ჩანს გაწეული მომსახურება და მიღება-ჩაბარების აქტს არ ერთვის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა, რაც მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წინაპირობას წარმოადგენს.

ეს ყველაფერი კი გაბუნიას განცხადებით, აჩენს საფუძვლიან ეჭვს ამ საკითხთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ზაზა გაბუნია, თბილისის მერს და ადმინისტრაციის უფროსს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" სხდომაზე განმარტებებისათვის იბარებს.

**ინტერპრესი**

კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● ამ ევროკავშირის გამკვირვებია. საქართველოს გვაძალებს, არიქათ დაგვიახლოვდიო და ამ დროს დიმიტროვს გვიგზავნის ევროკავშირის ელჩად... დიმიტროვს რო ნორმალური ადამიანი შეხვდება და დაელაპარაკება, იმასთან დაახლოება კი არა სათოფეზე გაკარება აღარ მოგინდება რაა.

● ნინო ლომჯარია მონარქიის განსახილველ თემაზე რა პონტში უნდა მოიწვიო? მაგას ხო ყავს თავისი მონარქი და მესია, გრანტი აბა ისე როგორ წამოვა — „ემონე და მოგეცემა".

● ბუსუსებიანი პრეზერვატივიდან კონსტიტუციურ მონარქიამდე მსჯელობის გადმოტანა ცოტა ნაჩქარევი ხომ არაა?

● პარლამენტი რო თბილისში გადმოვა, იმ შენობაში ქუთაისელები ცირკს ხნიან?

● ეს ლიბერალი არასამთავროები ყველა როგორ ჰგავს ერთმანეთს! გვაცადეთ, თქვე სიმონებო, ცხოვრება! რა გასწავლეს ასეთი იმ „წმინდა მიქაელის სკოლაში?", ასე ყველაზე, ყველაზე ჭკვიანები რომ ხართ?! აცადეთ პატარა გიორგი ბაგრატიონს გაზრდა, ბიჯოს!

● ეს ზოგიერთი პოლიტიკური სახეი ყოველ ცისმარე დღეს სხვადასხვა „მიმართულებისა" და სხვადასხვა პოლიტძალების საპირწონე განცხადებებს რომ აკეთებენ, არა უშავს? თუ თბილისურ სნობიზმში ეგეც „მოსულა"?




● მდაა: 1. პარლამენტის შენობა ქუთაისში — 400 მილიონი;

2. პრეზიდენტის სასახლე თბილისში — 500 მილიონი

3. ანბანის კოშკი ბათუმში — 60 მილიონი;

4. სიყვარულის ხიდი (ბელა სეტა) თბილისში — 40 მილიონი;

5. საკონცერტო დარბაზი (კანალიზაციის მილები) თბილისში — 50 მილიონი;

6. ამერიკული უნივერსიტეტი ბათუმში — 30 მილიონი;

7. პიაცას მოედანი ბათუმში — 10 მილიონი;

8. იუსტიციის სახლი თბილისში — 50 მილიონი;

9. აეროპორტი მესტიაში — 20 მილიონი;

10. აეროპორტი ზუგდიდში — 10 მილიონი;

11. აეროპორტი ქუთაისში — 30 მილიონი;

12. თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაცია — 500 მილიონი;

13. საპრეზიდენტო თვითმფრინავი — 50 მილიონი;

14. საპრეზიდენტო ვერტმფრენი — 10 მილიონი;

15. ცხინვალის ომი — 5 მილიარდი;

ორი ღირშესანიშნაობა კი დარჩება ქუთაისს საშვილიშვილოდ ... მონუმენტური პარლამენტის შენობა და კულტურის მემკვიდრეობა — ლიაიეს ბარდელი.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

ვითარება

# გაძვირდება პური ჩვენი არსობისა?

## ხორბალი ძვირდება, მონოპოლია კი ძლიერდება

**საქართველოში იმპორტირებული ხორბალი გაძვირდა და, შესაბამისად, ფქვილიც გაძვირდება. პურპროდუქტებზე ფასის მატება ჯერ, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი არ არის, მაგრამ შეიძლება ხორბალი თვიდან თვემდე გაძვირდეს. ამ პირობებში, საქართველოში ხორბლის ქართულ ბაზარზე არსებული მონოპოლი, კონკურენციას და ფასების რეგულირებას შეუძლებელს ხდის.**

კომპანია „აგრიკომის" ხელმძღვანელის კოკი ოსიპოვის ინფორმაციით, ფოთის პორტამდე ტრანსპორტირებული 1 ტონა ხორბლის ფასმა დღეს 25 დოლარით მოიმატა და 305 დოლარი შეადგინა. ტრეიდერის თქმით, სადღეისოდ საქართველოში მარცვლეულის 90% რუსეთიდან შემოდის. მეზობელ ქვეყანაში კი, თავდაპირველად, ხორბლის მაღალ მოსავალს პროგნოზირებდნენ, თუმცა, რეალური მაჩვენებელი გაცილებით დაბალი აღმოჩნდა.

**„ხორბლის გაძვირება ფქვილზეც აისახება, სავარაუდოდ, ერთი ტომრის ფასი 2 ლარით გაძვირდება და 40 ლარს მიაღწევს",** — ვარაუდობს ოსიპოვი.

შეუმჩნევლად, მაგრამ მარცვლეულზე ფასები სულ უფრო მაღლა მიცოცავს საერთაშორისო ბაზარზე. თუკი მთელი ზაფხულის განმავლობაში 1 ბუშელი ხორბლის ფასი 6 დოლარის ფარგლებში იყო, ახლა თითქმის 7 დოლარამდეა. არადა, ამ პერიოდში, როდესაც ახალ მოსავალს აბინავებენ, წესით ფასები დაბლა უნდა იწევდეს.



„აგრიკომის" ხელმძღვანელის პროგნოზით, ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად, ფასები იმპორტირებულ ხორბალზე კიდევ მეტად აიწევს. **„რუსეთის პორტებში წყალი იყინება, ტრანსპორტირება გართულდება, საჭირო გახდება ყინულმჭრელების გამოყენება. ეს ყველაფერი დამატებითი ხარჯია. ვფიქრობ, მარცვლეული ყოველთვიურად 1 ტონაზე, საშუალოდ, 7-10 დოლარით გაძვირდება",** — განაცხადა კოკი ოსიპოვმა.

თუკი ასეთი სცენარი განვითარდა, გამოდის, რომ საგაზაფხულოდ 1 ტონა ხორბლის ფასი ფოთში 350 დოლარს გადააჭარბებს, რაც საკმაოდ მაღალი ნიშნულია. ეს ადგილობრივი ბაზრისთვის, სადაც კონკურენცია, ფაქტობრივად, მიზერულია, რთული გადასატანი იქნება.

სწორედ ამაზე მიუთითებს მეხორბლეთა ასოციაცია, როდესაც ხორბლის ქართულ ბაზარზე აზერბაიჯანულ მონოპოლიაზე საუბრობს. როგორც ასოციაციის ხელმძღვანელი აცხადებს, აზერბაიჯანულ კომპანია „კარმენს" ბაზრის წილის 60%-ზე მეტი უჭირავს და ქართულ კომპანიებს არაკონკურენტულ გარემოში უწევთ საქმიანობა.

ლევან სილაგავას განმარტებით, „კარმენი" ქვეყნის მასშტაბით 4 მსხვილ ხორბლის გადამმუშავებელ ქარხანას ფლობს და დღის განმავლობაში მოსახლეობისთვის საჭირო 1000 ტონაზე მეტ ხორბალს გადაამუშავებს. სილაგავას თქმით, „კარმენი" კანონდარღვევის გარეშე საქმიანობს, რადგან ქვეყანაში ამ დრომდე არ მოქმედებს ანტიმონოპოლიური კანონი, რომლის მიხედვით კომპანიები ბაზრის წილის 40%-ზე მეტის ფლობის შემთხვევაში მონოპოლისტებად ჩაითვლებიან.

მეხორბლეთა ასოციაცია იმედს იტოვებს, რომ აღნიშნულ კანონს მთავრობა დროულად დაამტკიცებს და კომპანიებს სამართლიან კონკურენტულ პირობებში შეეძლებათ საქმიანობა.

მანამდე კი ბაზრის დარეგულირების ერთადერთი გზა ადგილობრივი წარმოების განვითარებაა. როცა საქართველოში მოყვანილი მოსავლის ოდენობა გაიზრდება, საერთაშორისო ტენდენცია ასე საშიში აღარ იქნება. წლეულს ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადაიდგა და 90 ათასი ტონა ხორბალი მივიღეთ, მაგრამ ეს საერთო მოხმარების მხოლოდ 10-12%-ია. თუმცა, უკვე ამ შემოდგომაზე დასათესი ფართობები ერთბაშად გაიზარდა და საგაისოდ ქვეყანაში 200 ათას ტონამდე მოსავალს ელოდებიან.

ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ხორბალი საერთო მოხმარების 25%-ს დააკმაყოფილებს. იგი შედარებით იაფი ეღირება და ფქვილის ფასი, გარკვეულწილად, საერთაშორისო ტენდენციებზე არ იქნება დამოკიდებული.

**ეკა ბაქრაძე**

ინფორმაცია

## დაასაქმეს პირობით მსჯავრდებულები

**ბაღდადსა** და ვანში იმერეთის პრობაციის ბიუროს შუამდგომლობით პირობით მსჯავრდებულები დასაქმდნენ. როგორც პრობაციის ეროვნული სააგენტოდან იტყობინებიან, პრობაციის ოფიცრის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ პირობით მსჯავრდებულ შმაგი მ. წარსულში კომპანია „სილქნეტში" ელექტრიკოსად მუშაობდა, მის მიმართ სამართლებრივი დევნის შემდეგ კი - სამსახური დაკარგა.

პრობაციის ბიუროს რეკომენდაციის შედეგად, „სილქნეტის" ვანის რაიონის სერვისცენტრის ადმინისტრაციამ შმაგი მ. სამსახურში აღადგინა და ხელფასის სახით 220 ლარი დაუნიშნა.

პრობაციის ბიურო სამუშაოს შოვნაში დაეხმარა ბაღდათში მცხოვრებ, პირობით მსჯავრდებულ კახა კ-ს. იგი სარიტუალო დარბაზში მიმტანად დასაქმდა და ყოველთვიურ ხელფასად 100 ლარს მიიღებს.

2013 წლის დასაწყისიდან დღემდე, პრობაციის ბიუროების რეკომენდაციების საფუძველზე, 122 პირობით მსჯავრდებული დასაქმდა.

№213. ოთხშაბათი, 6 ნოემბერი, 2013 წელი.



## ფრიდონ ინჯია:

# ირაკლი ღარიბაშვილი ივანიშვილის მიერ დაწყებულ საქმეს გააგრძელებს

## სწორედ ამ ნიშნით გამოარჩია ის ივანიშვილმა

**ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო დროს მიმდინარე ცვლილებებზე, საკუთარ შეხედულებებს გვიზიარებს კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი, ამჟამად „ალფასისტემ ჯგუფის“ პრეზიდენტი ფრიდონ ინჯია:**

— საქართველოს პოლიტიკური სივრცისთვის ბიძინა ივანიშვილი დიდი მოვლენაა. წინა ხელისუფლებას ისე ჰქონდა შექმნილი რეჟიმი, ბევრს მათი დამარცხება წარმოუდგენელი ეგონა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ივანიშვილი, რომელმაც აბსოლუტურად ნულიდან დაიწყო, გადადო თავი, საკუთარი ოჯახი და გაიმარჯვა. ეს იყო გმირობა. ის ჩვენი დროის გმირია.

**— ივანიშვილი პოლიტიკურ არენაზე რომ არ გამოჩენილიყო, თქვენ მოვლენების განვითარების როგორ სცენარს ვარაუდობდით?**

— ასე მშვიდობიანად ხელისუფლება არ შეიცვლებოდა. ნაციონალური მოძრაობა თავაშვებულ პარპაშს გააგრძელებდა, ხალხი ამას ვერ აიტანდა, დაიწყებოდა არეულობა, რასაც სისხლისღვრა მოყვებოდა. უსისხლოდ ხელისუფლების გადაბარება ვერ მოხდებოდა. თუმცა, რომ არა დასავლეთის მხარდაჭერა, ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარებას ვერც ბიძინა ივანიშვილი შეძლებდა. ნაციონალები ყველაფერზე იყვნენ წამსვლელნი. ამაზე მეტყველებენ აღმოჩენილი იარაღის საწყობები, ზონდერჯგუფები — ესენი მომზადებული ჰყავდათ არეულობისთვის, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედეს, ვინაიდან ივანიშვილმა თანმიმდევრულად, უშეცდომოდ ჩამოაყალიბა გზა, რომელმაც შეძლო ხალხის ნების გამარჯვებამდე მიყვანა. ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის მეთოდები მან იმდენად ლოგიკურად და მყარად წარუდგინა დასავლეთს, რომ მათ მას გვერდი ვერ აუარეს, თუმცა შეიძლება მოვლენების ასე განვითარება ან ივანიშვილის გამოჩენა მათ სცენარში არ ჩამჯდარიყო და ამიტომაც შეიძლება ყოფილიყო გარკვეული პირობები ან შეთანხმების ნაწილი, რომლის ჩარჩოებშიდაც ექცევა საქართველოში მიმდინარე მოვლენები. თუმცა, ყველაფერს ამას უკვე არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, ბიძინა ივანიშვილმა გადადგა ისეთი ნაბიჯი, როგორც შარშან, ასევე წელს, რომელიც დაამშვენებდა მსოფლიოში ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის სტანდარტებს. მეამაყება, დარწმუნებული ვარ, რომ ასევე ეამაყება ყველა ქართველს და ეს უნდა ეამაყებოდეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, სადაც არიან საღად მოაზროვნე ადამიანები.

**— დასავლეთი უკვე აღარც იყო ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი...**

— 5-6 წელიწადი აქტიურად უჭერდნენ მხარს ხელისუფლებას, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ისინიც აშკარად გრძნობდნენ, რომ ნაციონალების მმართველობა მხოლოდ პიარზე იყო აგებული. დარწმუნებული ვარ, რომ ამის შესახებ ინფორმაცია ჩვენს დასალეთელ მხარდამჭერებს საკმარისზე მეტი ჰქონდათ.

**— საპრეზიდენტო არჩევნებში აღებული 21 პროცენტი თავისთავად არ არის ცუდი მაჩვენებელი ოპოზიციური პარტიისთვის. ამას როგორღა ახერხებენ ნაციონალები?**

— ამ ხნის განმავლობაში მათ კარგად შეისწავლეს და აითვისეს, როგორ შეიძლება არჩევნების ეფექტურად წარმართვა და მოგება. მათ ამ არჩევნებზე სრული მობილიზაცია ჰქონდათ. ასევე უნდა ითქვას, რომ ეგრეთ წოდებულ კოჰაბიტაციის ხარჯზე, მათ გარკვეულწილად შერჩათ კიდევაც ის ძველი ადმინისტრაციული რეზერვი, რომელიც მათ სრულად გამოიყენეს. აბსოლუტურად ყველა, ვინც ნაციონალი იყო, ან მასთან დაახლოებული პირი, მივიდა არჩევნებზე და ხმა მისცეს მათ.

აი, ოცნებაში კი ხმები მიიღეს იმდენი, რამდენიც იმუშავეს, ყოველგვარი ადმინისტრაციული რეზერვის გამოყენების გარეშე, რაც უნდა ითქვას ფრიად მისასალმებელია.

**— რამდენად სწორად იყო შერჩეული ივანიშვილის მხრიდან საპრეზიდენტო კანდიდატი?**

— ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, მე ასე ვიტყოდი, მას აქვს ყველა სასტარტო პირობა და განათლება იმისთვის, რომ კარგი პრეზიდენტი გახდეს. ყველა სხვას შეიძლება სიტუაცია აერია, ეს კი ქვეყნისთვის დამღუპველი იქნებოდა. მე ძალიან მომეწონა, მისი გამონათქვამი ერთ-ერთ ინტერვიუში: „..... მე უნდა ამაყად დამედგომოდეს საქართველოს მომავალი პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიაზეო...“ იქ საუბარი იყო, იმაზე, იქნებოდა თუ არა სააკაშვილი ინაუგურაციაზე. ამითი ბევრი რამ უკვე ითქვა. და კიდევ ერთი — თუ შარან მასიურად, დიდი ტერორისა და ადმინისტრაციული წნეხის ქვეშ საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მაინც მისცა ხმა ქართულ ოცნებას, რატომ არ შეეძლო იგივე ამომრჩევლებს წელს სრულად თავისუფალ არჩევნებში ხმა მიეცათ ქართული ოცნების წარმომადგენელ გიორგი მარგველაშვილისთვის ?

**— რას იტყვით ივანიშვილის შემცვლელ პრემიერზე?**

— როგორც არაერთხელ მსმენია, ირაკლი ღარიბაშვილიც არის უპატიოსნესი ადამიანი, კარგი მენეჯერი, ერთგული თანაგუნდელი და სწორედ ამ ნიშნით გამოარჩია ეს ივანიშვილმა. თავად ის ფაქტი რად ღირს, რომ ივანიშვილმა თავისი სურვილით უარი თქვა თანამდებობაზე და ღირსეულ შემცვლელს გადააბარა. ის არის სწორედ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დემოკრატიის მაღალი ხარისხის ჩვენება. თუკი ასეთი ტენდენციით გაგრძელდება ქვეყნის მართვა, საქართველო უდავოდ კარგი, მისაბაძი და სასურველი ქვეყანა გახდება ყველასათვის და, მათ შორის, აფხაზებისა და ოსებისთვის.

**— მმართველობის ერთპარტიული ღერძი არ გაშინებთ?**

— ამ ეტაპზე სხვანაირად შეუძლებელი იყო, ეს შესაძლებელი იქნება და საჭიროც რამდენიმე წელიწადში, ახლა კი ამ მთავრობას მრავალი ვალდებულება აქვს აღებული, რომელსაც ის ერთიანობის გარეშე ვერ შეასრულებს. რომ დანიშნულიყო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, სხვაგვარ კონფიგურაციას მივიღებდით. ჩემი აზრით, ბურჯანაძე ღირსია თავისი გუნდით წარმოდგენილი იყოს პარლამენტში, თუნდაც იმ 10 პროცენტით, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ წავალთ გარკვეული რისკისკენ. ეს კი, დამერწმუნეთ, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ჩვენი ეკონომიკისათვის.

**— რას შეცვლიდა ის, თქვენი აზრით, ან რას ვერ ართმევს თავს ეს პარლამენტი?**

— პირველ რიგში, გინდაც იმ 10 პროცენტით, პარლამენტში გაჩნდებოდა ის ალტერნატიული წინადადებები და ინიციატივები, რაზედაც ისინი საუბრობდნენ წინსაარჩევნოდ, თუმცა, ამასთანავე, გაჩნდებოდა ის რისკი, რაზეც მე ზემოთ გესაუბრეთ. მარტივად რომ ვთქვათ, მთავრობის ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოთი უნდა იყოს გამყარებული ან პირიქით, ამიტომ მთავრობისა და პარლამენტის ერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— რუსეთთან ეკონომიკურ კავშირებზე რას იტყვით ?**

— დიახ, არის გარკვეული ძვრები: გააქვთ ღვინო, ხილი, ბოსტნეული, მაგრამ ეს ბაზარი ასეთ პირობებში მაღალი ეშელონების კონტაქტების გარეშე არასტაბილურად მეჩვენება. არადა, ინვესტიციებს ვინც ახორციელებს, მაგალითისთვის ავილოთ სოფლის მეურნეობა, მისთვის მთავარი გასაღების ბაზარია. დიდი მარჩიელობა და გათვლები არაა საჭირო, რომ დავინახოთ, თუ რა შედეგი მოიტანა იმ პატარა ფანჯარამ რუსეთთან ურთიერთობაში, რომელმაც გამოაცოცხლა მთელი კახეთი და საქართველოს კიდევ რამდენიმე რეგიონი. ჩვენ პრაგმატულად უნდა შევხედოთ ყველაფერს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ჩვენ პატარა ერი ვართ და დიდი სიფრთხილე გვმართებს გლობალიზაციის ხანაში. და კიდევ ერთი: გლეხს საშუალება უნდა ჰქონდეს, გაიტანოს თავისი ნაწარმი, მოსავალი მეზობელ ქვეყნებში. ეს კი იქნება საწინდარი იმისა, რომ ხვალ ეს გლეხი მეწარმე გახდება. მაგალითისთვის აღსანიშნავია ის, რომ თურქეთთან მიმართებაში ვაჭრობა ასიმეტრიულია, მათ (თურქებს) ყველაფრის შემოტანა შეუძლიათ, ქართველ გლეხს კი არა, ნებისმიერ თურქს შეუძლია იმუშაოს საქართველოში ოფიციალურად, საქართველოს არც ერთ მოქალაქეს პრაქტიკულად არ შეუძლია იმუშაოს თურქეთში. დიდად არ განსხვავდება ქართველების მდგომარეობა უკრაინაშიც. საერთოდ, საქართველოში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იმუშაოს ყოველგვარი სამედიცინო გამოკვლევის გარეშე, ენის ცოდნის გარეშე, ჩაწერაზე ან საცხოვრებელ ადგილზე საერთოდ არ არის საუბარი და ა.შ.

**— ბატონო ფრიდონ, თქვენი მოღვაწეობის სფეროდ დღესაც კავშირგაბმულობა რჩება. „ახალი ქსელების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბრძანდებით. უნდა გკითხოთ არალეგალურ მოსმენებზე, რომელიც საქართველოში წინა ხელისუფლების დროს თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თუმცა, დღესაც კი მსოფლიოსთვის ეს პრობლემად რჩება.**

— წინა ხელისუფლების დროს ყველამ იცის, რომ მოსმენები ხდებოდა ყოველგვარი კონტროლის გარეშე. უსმენდნენ ყველას და ყველგან. თუმცა, ჩვენ შევძელით ჩვენი სატელეფონო ქსელის (მხედველობაში მაქვს სადენიანი, სახლის ტელეფონები) ჩვენს დონეზე დაცვა. შესაბამისი სანქციის გარეშე ქსელთან მიერთება შეუძლებელი და დაუშვებელი იყო. მსმენია კიდეც: მაღალ ეშელონებშიც, სახლის ტელეფონზე დაგირეკავო!...

**— მოჰქონდათ ასეთი დოკუმენტები?**

— წარმოიდგინეთ, რომ მოჰქონდათ მოსამართლის დადგენილებები. თუმცა რა, გაუჭირდებოდათ თუ?

**— თქვენს მიმართ, როგორც ვიცი, წინა ხელისუფლება არ იყო კეთილგანწყობილი, არ შეგქმნიათ პრობლემები?**

— რომ არა კანონის ზედმიწევნით დაცვა, დღეს ჩვენ ამ ბაზარზე არ ვიარსებებდით. პრობლემები ცალკე საუბრის საგანია და სხვა უწყებაში. ვიმედოვნებ, და ყველა ჩვენგანის ვალია, მსგავსი რამ არ გამეორდეს და რისი გამოსწორება შეიძლება გამოვასწოროთ.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, ეს ხომ ხელისუფლების იდეოლოგიური და სადამსჯელო მანქანა იყო. მთელი კომისია მხოლოდ რამდენიმე პირის ინტერესებს ემსახურებოდა. მათ ხელში იყო სიხშირეები, სატელევიზიო პროგრამების შექმნაზე სხვადასხვა ხრიკებით ზემოქმედება, საკაბელო ტელევიზიების კონტროლი, სარეკლამო ბაზარი და სხვა. ობიექტურ კონკურენციაზე ლაპარაკი არც შეიძლებოდა. საქართველომ მილიონობით ზარალი მიიღო.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მათთვის მიუღებელი კომპანიები, რომელთა რიცხი თითზე ჩამოსათვლელია და მათ შორისაა „ახალი ქსელები“ (უმრავლესობა მათ მიერ იყო კონტროლირებადი) სახელმწიფო დაწესებულებებს ვერ მოემსახურებოდა, ხოლო მათ მიერ კონტროლირებად კომპანიებთან ურთიერთობაზე საუბარიც ზედმეტი იყო. ტენდერში მონაწილეობა წინასწარ გამორიცხული იყო, რადგან ტენდერების პირობები ისე იყო შედგენილი, რომ მასში მონაწილეობას შემთხვევითი კომპანია ან მათთვის არასასურველი ორგანიზაცია ვერ მიიღებდა.

**— ახლა როგორ გაქვთ საქმე?**

— დღეს, მადლობა ღმერთს, ყველა ტენდერი გამჭირვალეა.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

---

**ალიან-ჩალიანი**

## შეწყალების ინსტიტუტის გამოყენება სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა მოექცეს

**„საერთოდ შეწყალების ინსტიტუტი, ისევე როგორც საპატიმროებში სასჯელის მოხდის მიმდინარეობა, რა თქმა უნდა, საჭიროებს რეფორმას. მე არ ვარ იმ აზრის რომ პატიმრები კატეგორიებად უნდა დაიყონ და ზოგიერთის შეწყალება უნდა შეეძლოს პრეზიდენტს და ზოგიერთის არა — პრეზიდენტს ყველანაირი პატიმრის შეწყალება უნდა შეეძლოს და ამაში არაა პრობლემა. პრობლემა, ჩემი აზრით, თავად პროცედურაშია — პროცედურა უნდა დაიხვეწოს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ხვდება პრეზიდენტის მაგიდაზე ხელმოსაწერად ესა თუ ის შეწყალების აქტი. „სწორედ პროცედურა უნდა გადაიხედოს და ის გამჭვირვალე იყოს საზოგადოებისთვის, — განაცხადა თეა წულუკიანმა სახალხო დამცველის შესაბამის რეკომენდაციაზე კომენტირებისას. მისივე განმარტებით, შეწყალების კომისიაც ახალ პროცედურებს უნდა დაექვემდებაროს.**

**ამასთან, იუსტიციის მინისტრის შეფასებით, საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი იმდენად გონიერია, რომ „იმგვარი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, როგორიც ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით ვიხილეთ მის პირობებში გამორიცხულია“. ომბუდსმენის რეკომენდაციაა, რომ პრეზიდენტის მხრიდან შეწყალების ინსტიტუტის გამოყენება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებში მოექცეს. უჩა ნანუაშვილის შეფასებით, ნებისმიერი შეწყალების აქტი ჰუმანურობის პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდეს, თუმცა ის გარკვეულ ჩარჩოებში უნდ აიყოს მოქცეული.**

ინტერპრესი

# ჩვენს მეზობელს კი სურს, მაგრამ არანაირი შეცვლილი რეალობა არ არსებობს

## გვესაუბრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი კახა იმნაძე




**— ე.წ. მცოცავმა ოკუპაციამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, მხოლოდ ბოლო პერიოდში არ გავრცელებულა ინფორმაცია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მავთულხლართების გაბმის შესახებ. თქვენ, როგორც გაეროში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს, რა მექანიზმები გაქვთ, რომ ამ პროცესის შეჩერებაზე გავლენა იქონიოთ და როგორ იყენებთ ამ მექანიზმებს?**

— მოგეხსენებათ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ მიმართულებით ყველა ფრონტზე მუშაობს. რაც შეგვეხება ჩვენ, გაეროს თავისი სპეციფიკა აქვს. გენერალური ასამბლეის ახალ სესიაზე, ორმხრივ შეხვედრებში საქართველოს დელეგაციას სხვადასხვა თემებზე, განსაკუთრებით კი დეოკუპაციის საკითხზე და მცოცავ ანექსიაზე ჰქონდა საუბარი. მე გამოვედი გაეროს პირველი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც უსაფრთხოების საკითხებს ეხება. ეს განიარაღების კომიტეტია, სადაც საქართველოში შექმნილ ვითარებაზე ვისაუბრე. შემდგომში, მესამე კომიტეტზე, სადაც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები განიხილება, კვლავ გააკეთეს ჩვენი მისიის თანამშრომლებმა შესაბამისი განცხადებები, უკვე ადამიანის უფლებათა ჭრილში — როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები ამ მავთულხლართების, მცოცავი ანექსიის გამო, როგორც ზოლის გასწვრივ, ისე ოკუპირებულ რეგიონებში. ასევე, მესამე კომიტეტის ფარგლებში ბავშვთა და ქალთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იყო, ანუ გაეროში განსახილველ სხვადასხვა თემატიკაში, სადაც შესაძლებელია, მუდმივად ვაყენებთ საქართველოს საკითხს. ბუნებრივია, ამას რუსული მხრიდან ახლავს საპასუხო რეაქციები.

**— გაეროს პირველი კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსული სამხედრო არსენალის განუწყვეტლივ ზრდასა და საოკუპაციო ხაზზე შექმნილ ვითარებაზე გაამახვილეთ ყურადღება. როგორი რეაქცია მოჰყვა ამ გამოსვლას გაეროში რუსეთის წარმომადგენლის ვიტალი ჩურკინის მხრიდან?**

— რეაქცია მოჰყვა როგორც ჩემს, ისე ჩვენი თანამშრომლების გამოსვლას შესაბამის კომიტეტებში. რუსეთის მხრიდან პოსტულატები უცვლელია. ისინი ამბობენ, რომ მათ ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან ორმხრივი შეთანხმება აქვთ, რომელიც მათ აღიარეს, რაზეც ჩვენი დელეგაციის მხრიდან შესაბამისი არგუმენტირებული პასუხები არის ხოლმე, რომ არანაირ შეცვლილ რეალობასთან, რისი წარმოჩენაც ჩვენ მეზობელს სურს, საქმე არ გვაქვს. საქმე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან გვაქვს, რომელიც აღიარებულია და დადასტურებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ასევე — როგორც ჩვენ, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებულ დოკუმენტებში და, რა თქმა უნდა, ვეყრდნობით იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ამ მხრივ მუშაობენ, უწინარესად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, რადგან თავის დროზე გაეროს მისია რუსეთმა დაბლოკა და გაეროს მონიტორებს ამ რეგიონებში შესვლის საშუალება დღემდე არ აქვთ. ყველა გამოსვლას რუსეთის მხარის შესაბამისი რეპლიკა მოსდევს, რაც ჩვენს შორის მოკლე დებატში გადაიზრდება ხოლმე იმ ფორმატით, რაც გაეროშია მიღებული. ახლა ველოდებით შემდგომ სესიას, სადაც უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი ადგილნაცვალ პირებთან დაკავშირებით. ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია და ამ პროცესში ჩვენი პრობლემატიკა მუდმივად დგას.

**— ზოგადად, როგორი ურთიერთობა გაქვთ ჩურკინთან? თუ გქონიათ მასთან კონკრეტულ საკითხებზე საუბარი?**

— რაღაც კონკრეტული საუბარი არ გვქონია, ამის არც მანდატი არსებობს. საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს თუ გულისხმობთ, ეს სხვა ფორმატებში განიხილება. რაც შეეხება ზოგადად, ბუნებრივია, გაეროში უამრავი სხვა თემაა, რომელთა განხილვის დროს ორ ქვეყანას შორის გარკვეული გადაკვეთის წერტილებია. ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, რომელიც არ ეხება საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ საკითხებს. რაც შეეხება ორ ქვეყანას შორის არსებულ თემებს, ბუნებრივია, ეს ჩვენი საუბრის საგანი არ არის.

**— როგორ შეაფასებთ რუსეთის როლს საერთაშორისო ასპარეზზე? რა გავლენები აქვს ამ ქვეყანას გაერო-ს მასშტაბით?**

— რუსეთი ერთ-ერთი მათგანია, ვინც გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებით სარგებლობს, რაც მის გავლენაზე თავისთავად საუბრობს. გაეროში რუსეთს, რა თქმა უნდა, უზარმაზარი გავლენა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მას შეუძლია, ვეტო დაადოს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, ისევე როგორც საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, ჩინეთსა და აშშ-ს, მაგრამ დღევანდელი მსოფლიო დინამიკის გათვალისწინებით, გაეროში პატარა ქვეყნების როლი სულ უფრო და უფრო იზრდება. შესაბამისად, როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა ამა თუ იმ საკითხს მხარს უჭერს, თუკი რომელიმე ძლიერი სახელმწიფო, თუნდაც ვეტოს უფლების მქონე საწინააღმდეგო პოზიციაზეა, იგი ერთგვარად იზოლაციაშიც არის ხოლმე. ეს გარკვეულწილად ამინდსაც ქმნის, ამიტომ პატარა ქვეყნების როლი და აქტივობა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იზრდება და ჩვენც ვმუშაობთ ამ მიმართულებით, რომ ჩვენი მხარდაჭერა გაიზარდოს.

**— მიმდინარე წლის ივნისში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რეზოლუციას „აფხაზეთიდან/საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი/საქართველო დევნილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ“ მხარი 63-მა სახელმწიფომ დაუჭირა, 16-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა, მათ შორის რუსეთთან ერთად იყო სომხეთი. რას ელით მომავალ წელს?**

— მთავარი ამ შემთხვევაში არის ის ფაქტი, რომ ჩვენს რეზოლუციას სულ უფრო და უფრო მზარდი მხარდაჭერა აქვს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი სენსიტიური მომენტები აქვს და ხშირად, სხვადასხვა მომენტის გამო, ერთგვარ კომპრომისებზე წასვლა უწევთ. სამწუხაროდ, საერთაშორისო ურთიერთობებში და პოლიტიკაში, ხშირად გვიწევს გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა, ზოგჯერ უკან დახევაც იმის გამო, რომ შემდგომში გარკვეულ წარმატებას მივაღწიოთ. ამიტომ ციფრებსა და კონკრეტულად, რომელიმე სახელმწიფოზე გამოკიდებას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან პოზიციები ხშირად იცვლება. მთავარია, პოზიტიური დინამიკა იყოს, რაც სინამდვილეა.

**— იმ პირობებში, როდესაც რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრია და ვეტოს უფლებით სარგებლობს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გაეროს სამშვიდობო კონტინგენტის დაბრუნების საკითხს რა პერსპექტივა აქვს?**

— გაეროს სამშვიდობო კონტინგენტის დაბრუნების საკითხის პერსპექტივა პირდაპირ არის დამოკიდებული უშიშროების საბჭოზე, რადგან ასეთი დონის გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, უშიშროების საბჭო იღებს. აქ რუსეთს ყოველთვის აქვს ვეტოს უფლება და შესაძლებლობა, რომ საკითხი დაბლოკოს. ამდენად, შეიძლება, ითქვას, რომ პერსპექტივა ყოველთვის არსებობს, მაგრამ ამ პერსპექტივას წინ რუსეთის ვეტო უდგას. როდის შეიცვლის რუსეთი გადაწყვეტილებას, ვერავინ იმარჩიელებს.

**— აშშ-ისა და რუსეთს შორის ურთიერთობაში საქართველოს რა ადგილი უკავია ამ ეტაპზე? მაგალითად, შარშან, აშშ-ის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა აღნიშნა, რომ ამერიკასა და რუსეთს შორის საქართველო უთანხმოების ერთ-ერთი მთავარი საგანია...**

— ამერიკის განცხადებები სწორედ იმას მიუთითებდა, რომ საქართველოსთან მიმართებაში მისი და რუსეთის პოზიცია ერთმანეთს არ ემთხვევა და აშშ ამ პოზიციის ცვლილებას არ აპირებს, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ჩვენ სტრატეგიული პარტნიორები ვართ და ის მხარდაჭერა, რაც ორმხრივ ურთიერთობებში აშშ-ის, ევროკავშირისა და სხვა სახელმწიფოებისგან არის, ძალიან მნიშვნელოვანია.

**— გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიაზე მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას როგორ შეაფასებდით? როგორ გაიგო დასავლეთმა და, ზოგადად, საერთაშორისო თანამეგობრობამ პრეზიდენტის გზავნილი, რომელიც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობას შეეხებოდა?**

— საკმაოდ პოზიტიურად მიიღეს. ეს იყო ვრცელი, ემოციური გამოსვლა, დატვირთული თემატიკითა და ხედვით ზოგადად, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებისა და რუსეთის პოლიტიკის შესახებ, ერთგვარი წიაღსვლა ქვეყნის წარსულში, რაც ძალიან საინტერესო იყო და სწორედ ასე გაიგო ბევრმა სახელმწიფომ. ეს გამოსვლა ბევრს ძალიან მოეწონა. ითქვა ის, რასაც ზოგჯერ სხვები ვერ ამბობენ — ასეთი შეფასებებიც იყო ქართულ მედიაში, რასაც მე ვეთანხმები, შეიძლება, ასეთი ფორმულირების გამოყენებაც. ფაქტია, რომ ეს გამოსვლა საკმაოდ დიდი ინტერესით აღიქვეს. პრეზიდენტის გამოსვლაში არა მგონია, რომელიმე ქართველისთვის რაიმე სიახლე ყოფილიყო, რადგან ჩვენ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე ვიწვნიეთ. ეს იყო გამოსვლა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა გაეგო. მე მგონი, საერთაშორისო თანამეგობრობის ერთმა ნაწილმა, რომელიც ამ გამოსვლას ესწრებოდა, ეს ყველაფერი კარგად გაიგო.

**— გაეროში ვიზიტის დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა თქვენ საკმაოდ დადებითად დაგახასიათათ. რაზე ისაუბრეთ პრეზიდენტთან?**

— ჩვენ სამუშაო გარემოში მოგვიწია შეხვედრა და სხვა სახის საუბრების დრო ფაქტობრივად არც ყოფილა. დატვირთული დღის წესრიგი იყო, როგორც პრეზიდენტის, ისე საგარეო საქმეთა მინისტრის, მისი მოადგილის და, ზოგადად, გენერალური ასამბლეის ფარგლებში. როგორც წესი, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თუ სხვასთან საუბრების შესახებ არ ვლაპარაკობ ხოლმე.

**— მოგეხსენებათ, ახალი კონსტიტუციის პირობებში მომავალ პრეზიდენტს ძირითადად საგარეო ურთიერთობებში აქვს მთავარი როლი. თქვენი აზრით, გიორგი მარგველაშვილი ამ ამოცანას თავს როგორ გაართმევს?**

— მე მგონი, ძალიან კარგად. პირადად და ახლოს არა, მაგრამ შორიდან მას ვიცნობ და მისი არაერთი გამოსვლა მომისმენია. ის არის უაღრესად განათლებული, მოაზროვნე ადამიანი, წესიერი თბილისელი კაცი და დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგად გაართმევს თავს იმ პრობლემას, რომელიც თქვენ ახსენეთ.

**— გარდა იმისა, რაზეც ვისაუბრეთ, გაეროში თქვენი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ დამატებით რას გვეტყვით?**

— გაეროს თავისი თემები აქვს, რომლებიც ყველასთვის საერთოა და ვცდილობთ, მათ ჩვენი საკითხი და პრობლემატიკა მოვარგოთ. მაგალითად, გაერო-ში რეზოლუციათა უამრავი წყება არსებობს, რომელიც ქალებს, მშვიდობასა და უსაფრთხოებას ეხება. ბუნებრივია, ამ კონტექსტში საქართველოს ხედვაზე ვსაუბრობთ ხოლმე. გარდა ამისა, არის განიარაღების, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის, მცირე შეიარაღებასთან, ასევე სირიასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, უამრავი კონვენციაა, რომელთანაც საქართველო არა მხოლოდ მიერთებულია, არამედ მისი თანასპონსორიც არის, ასე რომ, ამ საკითხებზე მიდის მუშაობა და მაშინ, როცა ამის საშუალება და შესაძლებლობა არსებობს, საქართველოს პრობლემის გაცვლა ხდება. მაგალითად, იყო განხილვა თემისა — ქალები მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე და ამ კონტექსტში ჩვენმა წარმომადგენელმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს ზოგადად, მსოფლიოში ამ მიმართულებით ვითარების გასაუმჯობესებლად და ამ მხრივ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საოკუპაციო ზოლის გასწვრივ არსებულ ვითარებაზე ისაუბრა. ასეთივე კონტექსტში იყო ბავშვებთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხი. ამ შემთხვევაში საუბარი იყო უკვე განათლების უფლებაზეც, რადგან, როცა ბავშვს განათლების საშუალება არ აქვს, მას საერთოდ მომავალს ვართმევთ.

როდესაც განიარაღების თემაზე იყო საუბარი, ამ კონტექსტში ჩვენ ვისაუბრეთ იმ მზარდ მილიტარიზაციაზე, რაც ოკუპირებულ რეგიონებშია, ანუ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ გაეროს 193 ქვეყანა დასხდება და კონკრეტულად საქართველოს თემას განიხილავს. ასე არ არის არც საქართველოსთან და არც სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, გარდა იმ ერთეული შემთხვევებისა, როდესაც ომი, ან რაიმე განსაკუთრებული ვითარებაა. სხვა შემთხვევაში მუშაობა იმ დღის წესრიგის მიხედვით მიმდინარეობს, რაც გაეროს აქვს. მას აქვს ძირითადი კომიტეტები, შესაბამისი სტრუქტურები და ორგანოები სხვადასხვა მიმართულებით — ეკონომიკის მიმართულება იქნება, სოციალური, თუ ადამიანის უფლებები. მომდევნო კვირაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ადგილნაცვალ პირებთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვები იქნება. ამ კონტექსტში ჩვენ ვახსენებთ ხოლმე მსოფლიოს, რომ არსებობს საქართველოს საკითხიც. ამას ვაკეთებთ ჩვენ ჩვენი სახელმწიფოსთვის და ამას აკეთებენ სხვები თავიანთი სახელმწიფოსთვის.

საერთაშორისო თანამეგობრობის აქტივობა რომ არ შენელდეს, ამ თვალსაზრისით მისია პარტნიორ სახელმწიფოებთან ყოველდღიურად მუშაობს. უამრავი ორმხრივი შეხვედრა და ამა თუ იმ საკითხზე სხვადასხვა დონის პოლიტიკური კონსულტაციები გვაქვს, სადაც ორმხრივი თემატიკა და ის პრობლემები განიხილება, რომლებიც ჩვენ და შეხვედრის მონაწილე მეორე სახელმწიფოს გვაწუხებს. ასეთი ფორმით ვმუშაობთ გაერო, რომელიც ყოველდღიური რეპორტინგისთვის საინტერესო არაა, რადგან ძალიან რუტინული საქმიანობაა, მაგრამ ამ რუტინული საქმიანობის შედეგია ის, რომ დღეს უკვე რაიმე გადაწყვეტილება მიიღება, მანამდე კი მისვლაა საჭირო. ჰაერიდან არაფერი მოდის.

**დავით ჯალაღონია,**
საინფორმაციო სააგენტო „პირველი“

### რა იქნება ხვალ?



# პოლიტიკური გვამი გმირიც არის და სალახანაც?!

## მიხეილ სააკაშვილის მემკვიდრეობის შეფასება

**მიხეილ სააკაშვილი ასრულებს თავის საპრეზიდენტო ვადას. მისი, როგორც რევოლუციონერის, სახელმწიფო მოღვაწისა და ხელმძღვანელის როლი, რომელსაც მოუწია თავისი პატარა ქვეყნის რუსეთის პოლიტიკური ორბიტიდან გამოყვანა, დიდი ხანია ცნობილია. თუმცა, სააკაშვილის თითქმის ათწლიანი მმართველობის ბოლოს, ისევ ცდილობენ ამ 45 წლის მმართველის და იმ კვალის შეფასებას, რომელსაც ის ქვეყნის ისტორიაში დატოვებს.**

ზოგიერთები მიუთითებენ შენობების ეფექტურ ფასადებზე, რომელმაც გარდაქმნა საქართველოს დედაქალაქის, თბილისის და შავი ზღვის საპორტო ქალაქის, ბათუმის იერსახე. სხვები აქებენ პოზიციას, რომელიც მან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დაიკავა, როდესაც რესპუბლიკის ისტორიაში პირველად, მმართველმა პარტიამ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ხელისუფლება მშვიდობიანად, საყოველთაო არჩევნების შედეგად დათმო. ზოგიერთები იხსენებენ 2008 წლის დამანგრეველ ომს რუსეთთან, რომელსაც საქართველოს სეპარატისტული რესპუბლიკების – სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის – სავარაუდოდ, საბოლოოდ დაკარგვა მოჰყვა.

თავად სააკაშვილი „რედისონ ბლუზე“ მიუთითებს – ცათამბჯენზე, რომელიც ერთ დროს თბილისის ცენტრში მდებარე სასტუმრო კომპლექსი იყო, სადაც 1993-2004 წლებში ასობით აფხაზეთიდან დევნილი ცხოვრობდა. სააკაშვილმა, ახლახან თავის ახალ აპარტამენტებში სატელევიზიო ტურის დროს, მისი ფანჯრიდან ამ სასტუმროზე მიგვითითა და აღნიშნა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, თუ რა „განასხვავებს დღევანდელ საქართველოს ათი წლის წინანდელი ქვეყნისგან“.

**ეს მთავარი საკითხია 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ ლიდერისათვის, რომელმაც დაასრულა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის კორუმპირებული და არაეფექტიანი მმართველობა. ბოლო ათი წლის განმავლობაში პრეზიდენტი, რომელსაც საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მეფის დავით აღმაშენებლის ანალოგიით მიშა აღმაშენებლი შეარქვეს, ცდილობდა, დახმარებოდა საქართველოს ფიზიკურად და სულიერად გაეწყვიტა კავშირი თავის წარსულთან.**

ის, რომ მან ამ გზაზე გარკვეულ წარმატებას მიაღწია, უდავოა. მიხეილ სააკაშვილმა ნორმად აქცია მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მუდმივი მიწოდება, ააშენა ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გზები და სკოლები, გაარემონტა დასახლებული პუნქტები და ურბანული კვარტლები. მისი ხელმძღვანელობით გაიზარდა ეკონომიკა (2003-2012 წლებში საშუალო თვიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე თითქმის სამჯერ – 218,4 ლარამდე გაიზარდა, რაც 132,36 დოლარია), რესპუბლიკას მოეძალნენ უცხოელი ტურისტები და ინვესტორები (2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 673 მილიონი დოლარი შეადგინა), ქვეყანამ განამტკიცა კავშირები ევროპასა და შეერთებულ შტატებთან, პოლიცია პატივსაცემი ინსტიტუტი გახდა, მაფია განადგურდა, სახელმწიფო დაწესებულებები ამუშავდა.

თუმცა, სააკაშვილს უკიდურესობები ახასიათებდა, არათანაბარი სვლა კარგ და ცუდ კურსს შორის, რაც ხელს უშლის საქართველოს მოსახლეობას, ერთ შეთანხმებულ პოზიციაზე ჩამოყალიბდეს მის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი.

მართალია, პრეზიდენტ სააკაშვილის განზრახვები დემოკრატიულ წარმოდგენებს ეფუძნებოდა, თუმცა ხშირად ის შეუწყნარებელი იყო განსხვავებული აზრის მიმართ. მისი მმართველობის წლებში მკვეთრად გაიზარდა დაპატიმრებების რიცხვი (ბევრი დაკავშირებული იყო კორუფციასთან), ზეწოლა ოპოზიციაზე, სახელმწიფო სერიოზულ გავლენას ახდენდა კერძო მედიასაშუალებებზე, ბიზნესის და პოლიტიკის ინტერესები ხშირად არაჯანსაღად ებმოდა ერთმანეთს, რაც ხელს უწყობდა კორუფციის შემდგომ აყვავებას ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, იმ ფონზე, როდესაც ადგილებზე კორუფციის ფაქტები ქრებოდა.

ასეთ ვითარებაში, ზოგიერთი ქართველი ანალიტიკოსის აზრით, მიხეილ სააკაშვილის მემკვიდრეობა შეიძლება შეფასდეს მიღწევებისა და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე.

საქართველო გადაიქცა „ტიპური პოსტსაბჭოთა საზოგადოებიდან უფრო დასავლური ტიპის საზოგადოებად“, იმავდროულად, გაიზარდა მოსახლეობაში მთავრობასთან დაკავშირებული მოლოდინი, მიაჩნია ვახტანგ ლეჟავას, რომელიც 2009-2012 წლებში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის მთავარ ეკონომიკურ მრჩევლად მუშაობდა. მოლოდინის გაზრდას კი სტანდარტის ზრდა მოჰყვა. სწორედ ამ ამაღლებული სტანდარტის მიხედვით აფასებდნენ ადამიანები სააკაშვილის ქმედებებს, დასძენს ანალიტიკოსი. „ხალხი შეიცვალა“, ამბობს ის „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეცვალა სტანდარტი, რომელიც დღეს გაცილებით მაღალია. და სხვადასხვა ასპექტში თავად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერ შეძლო ამ სტანდარტების დაკმაყოფილება“, ამბობს ვახტანგ ლეჟავა, გულისხმობს რა 2012 წლის სკანდალს, რომელიც პატიმრებზე ძალადობის ირგვლივ ატყდა.

მართალია, პრეზიდენტი აღიარებს, რომ მისი მმართველობის დროს ადმინისტრაციამ შეცდომები დაუშვა, თუმცა, დეტალებზე არ ლაპარაკობს. ამ სტატიის გამოქვეყნების მომენტისთვის სააკაშვილს თანხმობა ინტერვიუზე EurasiaNet.org-ისთვის არ მიუცია.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსანი დეპუტატი და სააკაშვილთან დაახლოებული პირი ვარაუდობს, რომ პრეზიდენტის მმართველობის მიმართ ყველა პრეტენზიის და კრიტიკის მიუხედავად, ის მაინც მიჩნეული უნდა იყოს „ტრანსფორმაციის ლიდერად“, რომელმაც გარდაქმნა „საქართველო ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც ყველა ხარვეზის მიუხედავად, მართლაც ფუნქციონირებდა“.

მაგრამ ამ უკიდურესობების საზოგადოებაში, საეჭვოა, უახლოეს მომავალში ბევრმა გაითვალისწინოს საქართველოში სააკაშვილის საქმიანობის ნიუანსები. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა ელოდება მას პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ, საქართველოს მცხოვრებლები მის პერსონას შეაფასებენ **სიკეთისა და ბოროტების პრიზმაში,** ამბობს პოლიტოლოგი და სააკაშვილის პერიოდის განათლების მინისტრი გია ნოდია. „მას მიიჩნევენ ან **კეთილისმყოფელად ან არამზადად**. პრინციპით „ან – ან“, ამბობს იგი. „შეიძლება ზოგიერთები შეეცადონ მის შეფასებას ზომიერად, მაგრამ ვფიქრობ, ეს არ იქნება ტიპური. ადამიანების ძირითადი მასისთვის ის **ან გმირია ან სალახანა“.**

**საქართველოში ბევრი ფიქრობს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავრობა ამ მხრივ დიდწილად „ერთიანი ნაცმოძრაობის“ გზას იმეორებს.**

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მიხეილ სააკაშვილის ბევრი თანამებრძოლი, მათ შორის, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია სააკაშვილის მმართველობის პერიოდის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად დააპატიმრეს და ახლა სასამართლო პროცესებს ელოდებიან ისეთი ბრალდებებით, როგორიცაა წამება, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და დატაცება. თბილისის მერის გიგი უგულავას წინააღმდეგ, რომელსაც ერთ დროს სააკაშვილის შესაძლო მემკვიდრეობას უწინასწარმეტყველებდნენ, ასევე არსებობს ბრალდებები სხვა საქმის ფარგლებში, თუმცა ის განაგრძობს თანამდებობაზე მუშაობას.

**ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ არც ერთ ამ სასამართლო დევნას არანაირი პოლიტიკური ქვეტექსტი არ აქვს, დაიმუქრა, რომ რაღაც არდასახელებული დანაშაულებებისთვის, რომელიც პრეზიდენტად მუშაობის დროს არის ჩადენილი, თავად სააკაშვილსაც შეიძლება მოუწიოს პასუხისგება. სააკაშვილს ის „პოლიტიკურ გვამს“ უწოდებს.**

ცოტას თუ მიაჩნია, რომ მიმავალი პრეზიდენტი ბრძოლას შეწყვეტს. მიუხედავად ჭორებისა, რომ ის უცხოეთში გაემგზავრება, მიხეილ სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ ქვეყანაში დარჩენას და „ქართული ოცნების“ ოპოზიციონერობას აპირებს.

„სააკაშვილის ერთი ეპოქა დასრულდა“, ამბობს გია ნოდია, მაგრამ, შესაძლოა, მომავალში იყოს სხვა. „მან დატოვა თავისი მემკვიდრეობა“, „მაგრამ შეიძლება მას კიდევ აქვს მომავალი“.

**მოლი კორსო,**
**EURIASIANET**

### წილებს იყოფენ?

# სააკაშვილმა ჩიორა და გოკა სასწრაფოდ პარიზში გამოიძახა

**ჩიორა თაქთაქიშვილი და გოკა გაბაშვილი მიხეილ სააკაშვილთან პარიზში შესახვედრად სასწრაფოდ გაემგზავრნენ. For.ge-სთვის ცნობილი გახდა, რომ სააკაშვილს ნაცმოძრაობის ამ ერთგული წევრებისთვის კერძო თვითმფრინავი გამოუგზავნია. ვრცელდება ინფორმაციაც, რომ მათი სასწრაფო გამგზავრება ნაცმოძრაობას წილების გადასარჩენად თუ გადასანაწილებლად დასჭირდა და სწორედ საფრანგეთში ახორციელებენ ნაციონალები უკანონო გადარიცხვებს.**

როგორც ჩანს, ოფიციალური ვიზიტით პარიზში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი სარკოზისთან შეხვედრის პარალელურად დროს არ კარგავს და ნაციონალებისთვის ე.წ. „მაშველი რგოლის გადაგდების“ გეგმებს ახორციელებს.

**საინტერესოა ისიც, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურში სააგენტო „პირველს“ განუცხადეს, რომ ადმინისტრაციისთვის მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის საქმიანი მხარეა ცნობილი და ჩიორა თაქთაქიშვილისა და გოკა გაბაშვილის პარიზში ვიზიტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.**

თუმცა, „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურში აცხადებენ, რომ საპარლამენტო უმცირესობის წევრები პრეზიდენტის დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებიან.

ექსპერტი კახა კახიშვილი აცხადებს, რომ, **თუ სააკაშვილმა თვითმფრინავი მართლაც გამოუგზავნა ნაციონალური მოძრაობის წევრებს და ისინი პარიზში გაფრინდნენ, ამ საკითხზე სერიოზული მოკვლევა უნდა დაიწყოს. ერთია, როცა სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს საქართველოს სახელით, მაგრამ მეორეა, რასაც აკეთებს მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის.**

**„დღევანდელი მისი განცხადების შინაარსი ზუსტად ამას ადასტურებს. მან განაცხადა, რომ თურმე იმისთვის გაფრინდა ევროპაში, რომ იყიდოს წიგნები, თორემ სხვანაირად უფრო ძვირი დაჯდებოდა. რატომღაც მეეჭვება, რომ სტამბებიდან წიგნების გამოწერა და აქ ჩამოტანა უფრო ძვირი დაჯდეს, ვიდრე სააკაშვილის თვითმფრინავით ვოიაჟი, სასტუმროებში გაჩერება... მისი კვების ამბავიც ყველამ ვიცით. ესეც, ალბათ, გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებული სახელმწიფო თანხების გაფლანგვის საფუძველზე შეხვედრა იქნება,“** – გვითხრა კახა კახიშვილმა.

რაც შეეხება გოკა გაბაშვილს და ჩიორა თაქთაქიშვილს, კახა კახიშვილის აზრით, თუ ისინი მართლაც საეჭვო მიზნით გაფრინდნენ პარიზში, შესაბამისმა ორგანოებმა ამის შესწავლაც უნდა დაიწყონ, თუ რის საფუძველზე დაიხარჯა ამხელა თანხა ამ ადამიანების აქეთ-იქით ვოიაჟში.

„ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთვის უცნობია, რამდენად ეკითხება მიხეილ სააკაშვილი ჩიორა თაქთაქიშვილსა და გოკა გაბაშვილს ფულისა და ბიზნესის გადანაწილებას და რამდენად არიან ისინი კომპეტენტურები ამ საკითხში, მაგრამ ის, რომ სააკაშვილს აქვს ხაზინიდან მიტაცებული რამდენიმე მილიარდი, ასევე შანტაჟის გზით ნაქურდალი ქონება, ჯონდი ბაღათურიას ამაში ეჭვი არ ეპარება. შესაბამისად, მისი აზრით, ნაქურდალის ნაწილის გამოყენებას სააკაშვილი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის შეეცდება და ამაში მას ხელს შეუწყობს ახალი ხელისუფლების უხერხემლო მოქმედება ნაციონალური კრიმინალური ბანდების წინააღმდეგ.

**„ამ მთავრობამ თუ ასე გააგრძელა, სააკაშვილს კი არა, ასი წლის წინათ გარდაცვლილ პოლიტიკოსებს შეიძლება გაუჩნდეთ შანსი. ფინანსურ და კონფიდენციალურ საკითხებზე შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გასამართავად ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ხშირად იყენებს საზღვარგარეთს, რადგან საქართველოში ამ შეხვედრების გადაღების, ჩაწერის საშიშროება არსებობს. სხვათა შორის, საფრანგეთში ხშირად იკრიბებიან ჩვენი კოლეგები ზუსტად ფინანსური და სხვა საკითხების გადასაწყვეტად. პირადად მე ეს კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ სააკაშვილი რომ ამისთვის ემზადება და დაბრუნების ილუზია აქვს, ეს ცხადია,“** – აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

მისივე თქმით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში სააკაშვილს სწორედ ნაქურდალი ფულით შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები აქვს და მედიაზე ძლიერი ზემოქმედების უნარი მოეპოვება. ამდენად, იგი ამ გავლენების გამოყენებასაც შეეცდება.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გიორგი აბაშიშვილი აცხადებს, რომ გასარკვევია, ნამდვილად წილების გადანაწილებისთვის გაფრინდნენ თუ არა საფრანგეთში ნაციონალი დეპუტატები. მისი აზრით, ამ საკითხით გამოძიება უნდა დაინტერესდეს.

ექსპერტის თქმით, ჯერჯერობით, ინაუგურაციამდე, სააკაშვილი მოქმედი პრეზიდენტია და ცუდია, თუ ის სახელმწიფო რესურსებს კვლავაც უყაირათოდ იყენებს.

**„გასარკვევია, რა იყო ამ გამოძახების მიზეზი. თუ ეს იყო მართლაც გადაუდებელი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე, მაშინ შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ თუ ეს პრივატული იყო, ამას გამართლება არ აქვს. მით უფრო, საქართველოს არ აქვს შესაძლებლობა, ამხელა თანხები იხარჯებოდეს პრივატული ტიპის შეხვედრებზე“** – აცხადებს გიორგი აბაშიშვილი.

მისი განმარტებით, თვითმფრინავის გამოგზავნა, შემდეგ გადაფრენა რამდენიმე ათეული ათასი ლარი ჯდება. გარდა ამისა, მისთვის ისიც გაუგებარია, ნამდვილად წილების გადანაწილებას აპირებენ თუ არა ნაციონალები საფრანგეთში.

**მარიამ ლოლაშვილი**

პოზიცია

# პოლიტიკური მასტერკლასი ნაცებისთვის



## გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ ნადირაძე

**– ბატონო ელდარ, ორი წლის წინათ, ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდით ნაცმოძრაობის დასასრულზე და იმ როლზე, რომელსაც ამ პოლიტიკურ ორთაბრძოლაში დაეკისრებოდა ბატონ ბიძინა ივანიშვილს. თქვენი აზრით, როგორ გამოიყურებოდა ამ ბრძოლაში ბატონი ბიძინა? „რუსეთუმეს“, „ოლიგარქისა“ და ჭორვილელობის წამოძახებამ, მგონი, ვერც მის ავტორიტეტზე და ვერც ხალხზე ვერ „იმუშავა“**

– ბრძენის ნათქვამია, „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“. ბიძინამ პოლიტიკური მასტერკლასი ჩაუტარა ნაციონალებს. რაც დაპირდა, ყველაფერი აუსრულა და ხარბი პირიდან გამოაცალა დასაგლეჯად განწირული ქვეყანა. ახლა, რაც სურთ, ის ილაპარაკონ, საქმენი ღაღადებენ ადამიანის სიძლიერეზე და არა სიტყვები. ნუგზარ წიკლაურისთანა ჰომონკულუსების ნათქვამს რა ძალა აქვს. იყვნენ ჩვენს უახლეს ისტორიაში მათი მსგავსნი: ობოლაძეები, მგელაძეები, ტოროშელიძეები, რუხაძეები, და რომლებიც წიკლაურის ამ ქვეყანაზე გამომყვან სააკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩარეცხა ისტორიის უნიტაზმა. ასე არიან ესენიც. რაც შეეხება „ჭორვილელობის“ თემას, კიდევ უფრო სამარცხვინო უნდა იყოს მათთვის, თუ ჭორვილელმა კაცმა დაამხო ამხელა დონის „არისტოკრატია“ (განა არ ეტყობათ სააკაშვილს, გაბაშვილს, დარჩიაშვილსა და წიკლაურს ცისფერსისხლიანობა!?) თითქმის ყველა დიდი ადამიანი ისეთივე „ჭორვილიდან“ იყო, საიდანაც ბიძინაა, ესაა განწირულების ბოლო მომენტი, ასეთი ხელმოცარულები რომ ჩაებღაუჭებიან ხოლმე და ამ წამოძახებაში დამარცხებულის სისუსტე ცხადზე უცხადესია.

**– რას იტყოდით პოლიტოლოგებთან და ჟურნალისტებთან ბიძინა ივანიშვილის შეხვედრაზე, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია?**

– სხვისა რა მოგახსენოთ და, პირადად მე, ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში, ასეთი ღონისძიების მომსწრე პირველად შევიქენ. იცით, ასეთ რამეს ვინ აკეთებს? ვისაც არაფრის ეშინია, ესაა მართალი კაცის ჟესტი, რაც ჩვენი საზოგადოების ნაწილისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის რამდენადმე უცხო აღმოჩნდა, რადგან მიუჩვეველნი ვართ ადამიანურ დამოკიდებულებას უმაღლესი ხელისუფალის მხრიდან. მე გამაკვირვა ზოგიერთი ჟურნალისტის „შეუვალმა“ რწმენამ, რომ, თურმე, ჟურნალისტური საქმიანობის კრიტიკა დაუშვებელია, თურმე როგორ გაბედა ივანიშვილმა და ზოგი რამ მათ არ მოუწონა. სხვათა შორის, ტენდენცია ახალი ჟურნალისტური ქედმაღლობისა, რომელსაც რუსთავი-2“ უყრის საფუძველს, ძალიან ფესვგადგმულია ჩვენში. ამ აზრის დამადასტურებელი უამრავი მაგალითიდან მკითხველს შევახსენებდი აკაკი გოგიჩაიშვილის რამდენიმე წლის წინანდელ, უპრეცედენტოდ ამაზრზენ ჟურნალისტურ „გამოძიებას“ ერთი, ძალიან პატიოსანი კაცის მიმართ, რომელსაც, ენით უთქმელი ბოროტებანი დააბრალა. ამის მიუხედავად, გოგიჩაიშვილი ახლაც თავის ბინძურ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა და, ალბათ, უფლებაც არა გვაქვს მის მსგავს ჟურნალისტებს შენიშვნა მივცეთ. ბიძინა მათ ელაპარაკა როგორც ტოლი ტოლს, როგორც ისინი გვესაუბრებიან ყოველ საღამოს და ეს სისუსტედ ჩაუთვალეს. ასეთ ხალხს სააკაშვილისთანა რესპონდენტი უფრო მოსწონთ, რადგან მასთან შიშით დამუხტული მდგომარეობა კლასიკური ტიპის პოლიტიკურ ატმოსფეროდ ეჩვენებათ.

**– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას, რომელსაც ივანიშვილი ედგა სათავეში, უფრო „მკაცრი ხელის“ პოლიტიკა რომ გაეტარებინა, ექნებოდა თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებულზე უფრო მეტი მხარდაჭერა?**

– ამ კითხვას დადებითად ვუპასუხებდი, მაგრამ ეს იქნებოდა უდიდესი შეცდომა. ჩემი აზრით, პოლიტიკაში მოსვლის დღიდან ხელისუფლებაში ყოფნით დამთავრებული, ივანიშვილს არ დაუშვია არც ერთი ისეთი პოლიტიკური კაზუსი, რაც ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო მასშტაბით დააზარალებდა. უახლოეს წარსულში უკვე ვიწვნიეთ ამ რთული საკითხისადმი ხისტი დამოკიდებულების სუსხი, უნდა გავიგოთ, რომ ძალიან ბევრი პოლიტიკური და ეკონომიკური ვალი გვაქვს და მევალის პირობაზე ანგარიშის გაწევის ვალდებულება გვაკისრია. ერთი წუთით არ მეპარება ეჭვი, რომ ივანიშვილი, სავსებით გონივრულად, ამ ვალდებულებას ემორჩილება. გულის ჯავრის ამოყრის სახალხო ქმედებას ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სივრცეში არავითარი გამართლება არ ექნებოდა. ვიტყვი, რომ დაზარალებულ ადამიანთათვის ასეთი „უმოქმედობა“ ძალზე მტკივნეული გამოდგა, მაგრამ ზოგადად ეს ასე იყო საჭირო და ძალიამ მიხარია, რომ ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს ამ პოლიტიკური მომენტის მნიშვნელობა ძალიან კარგად ჰქონია შეგნებული, რაც აისახა კიდეც არჩევნების შედეგებზე.

**– არჩეულია პრეზიდენტი, არჩეულია პრემიერი, პოეტურად თუ ვიტყვით, ხალხი ფართოდ გახელილი თვალით შესცქერის მომავალს, ეს უკვე მერამდენედ XX და XXI საუკუნის მიჯნაზე ახალი იმედით გვიხდება ცხოვრების დაწყება, როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვს საფუძველი ამ იმედს?**

– გონიერი ადამიანის ვალდებულებაა, გრძნობდეს თავისი მდგომარეობის სინამდვილეს და ძალიან მიკვირს, ზოგიერთი სათანადოდ რომ ვერ აფასებს მომხდარს. ჩემი აზრით, ეს იყო ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა. პირდაპირ ვიტყვი: ჩვენ გავთავისუფლდით მტარვალებისაგან, საქართველო კიდევ ერთხელ გადარჩა, გადარჩა უსასტიკეს ადამიანთა მმართველობისგან, რომელთა პოლიტიკური დოქტრინა საქართველოს ისტორიულ არსებობას სამუდამოდ უსვამდა წერტილს, მათ ჰქონდათ საქართველოს გასხვისების პროგრამა და გაყიდეს კიდეც მისი დიდი ნაწილი (კ.ბენდუქიძე), მათ ჰქონდათ ხალხის მართვის ცინიზმსა და ძალადობაზე დამყარებული პრაქტიკა, რაც ყველა სფეროში იყო გაბატონებული (ნულოვანი ტოლერანტობა, ადამიანისათვის ყველა ადამიანური უფლების აყრა და ხელყოფა), ჰქონდათ თავიანთი იდეოლოგია – ულტრალიბერასტული საზოგადოების შექმნა, რისი თავკაცებიც განუსაზღვრელი უფლებებით აღიჭურვნენ (გ.ბოკერია, კ.ლომაია, გ.თევზაძე), საკუთარი ხელოვნება კვერცხების, კალოშებისა და ველოსიპედების სახით, მაინცდამაინც ეროვნული ღირებულებების დაპირისპირების ფონზე რომ ვითარდებოდა. საკუთარი ლიტერატურა – ზ. ბურჭულაძის, ე.დეისაძის, დ. ბარბაქაძის, გ. ღვინჯილიას, ნ.ლადარიას, დ.ზურაბიშვილის, მ. ლეკიაშვილის მეთაურობით, რომლებმაც ტომეულები შექმნეს უბილწსიტყვავესი, ამორალური „შემოქმედებისა“ და რომლებთაც ამისათვის არ დაკლებიათ არავითარი დიდება და პატივი. განათლების სისტემა (ლომაია, გვარამია, შაშკინი), რომელიც ქართველი ბავშვის ცოდნის ამაღლების კი არა, სრული უცოდინარობისკენ იყო მიმართული და კიდევ ბევრი სხვა.

რა მემკვიდრეობა დატოვა ამ საზოგადოებამ? ეროვნული თვალსაზრისით, სრულიად არაფერი, სავალალოა, რომ თითოეული მათგანის დანახვაც საშინელ განწყობას ბადებს. დავასახელებ რამდენიმე გვარს და მკითხველს ვთხოვ, დააკვირდეს შინაგან ძრწოლას, რასაც გამოიწვევს მათი დასახელება: ბოკერია. ბარამიძე. უგულავა. გაბაშვილი. მინაშვილი. რატიანი. თაქთაქიშვილი. ნადირაშვილი. წიკლაური. კანდელაკი. ვაშაძე. დარჩიაშვილი. ესაა აღვირახსნილ ადამიანთა ერთობა, რომელთა პირს ყველანაირი სიცრუის წარმოთქმა შეუძლია, რომლებთაც არა აქვთ არავითარი გრძნობა შინაგანი ღირსების, მხოლოდ სიცრუის შენიღბვის უნარი მიუცია ეშმაკს მათთვის და მათ სულსა და სხეულში ისეა გამჯდარი უარყოფითობის აურა, იგი ჩვენზედაც გადმოდის. დააკვირდთ: რას განიცდით, როცა მათ ცისფერ ეკრანზე უცქერით და თუ ქუჩაში შეგხვედრიათ რომელიმე მათგანი, როგორი მძაფრი კონვულსიები ემართება თქვენს სულსა და სხეულს (სამწუხაროდ, ერთხანს კიდევ მოგვიწევს მათი ყურება).

და, ყველა ამათი მოთავე და წარმმართველი იყო სააკაშვილი, კაცი უცნაური, თავის ბოროტ განზრახვაში თანმიმდევრული. არასდროს მიმიჩნევია იგი უნიჭოდ (რაც უფრო საშიშს ხდიდა მის ანტიქართულ მოღვაწეობას), მან შექმნა საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური გუნდი, მაგრამ მას ახალ ვაცლავ ჰაველად კი არ მოევლინა, როგორაც თავად გაჰკიოდა, არამედ, ტიპურ აზიელ მმართველად და ყველა ხელქვეითი თავის თავს დაამსგავსა. სააკაშვილს ეგონა, რომ მისთვის აღარაფერი არსებობდა მიუღწეველი, მაგრამ შეცდა, მას არ ეყო ისტორიის ცოდნა, ცოდნა იმისა, რომ, რაც არ უნდა დასუსტებული იყოს ერის სხეული, მასში მაინც მუდამაა ძალა ავადობის დაძლევისა. სააკაშვილს დრო შეეშალა: ჩვენ არ ვიყავით მზად სიკვდილისთვის.!!!

**ესაუბრა**
**რუსლან რუსია**

განვითარების პერსპექტივები

# თუ საქმეს გონივრულად მივუდგებით...

**შარშანდელი მონაცემებით, ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი დაახლოებით 16 პროცენტია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 8 პროცენტს შეადგენს, რაც ფულადი გამოხატულებით 2 მილიარდი ლარის ღირებულებისაა. აქვე ერთი საგულისხმო გარემოებაც: მოწინავე ეკონომიკების ქვეყნებში სოფლის მეურნეობის წილი მთლიან სამრეწველო სიმძლავრეში შედარებით მცირეა და 4-5 პროცენტს არ აღემატება, თუმცა, ფულადი გამოხატულებით და ტექნოლოგიური ინოვაციების თვალსაზრისით საქართველოს მაჩვენებლებს რამდენჯერმე აღემატება.**

როცა განვითარებულ ქვეყნებზეა ლაპარაკი, კაცმა, გარკვეულწილად, გული იმით შეიძლება დაიმშვიდო, რომ ამ ეტაპზე საქართველო „განვითარებადი“ ქვეყნების კლასიფიკაციაში გადის, მაგრამ უბედურება ისაა, რომ გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე, ანუ დამოუკიდებლობის მოპოვების წინა პერიოდთან შედარებით, საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 3,5-4-ჯერ შემცირდა, დარგის ამჟამინდელი დონე კი პოსტსაბჭოთა სივრცის თითქმის ყველა ქვეყნისას მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მეტიც: **სასურსათო პროდუქციის წარმოების მხრივ ადგილობრივი სექტორი არსებული მოთხოვნილების მხოლოდ 15 პროცენტს თუ აკმაყოფილებს.** ცალ-ცალკე პოზიციების მიხედვით კი, ქვეყანაში ხორბლის 90 პროცენტი საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს, იმპორტირებულია ხორცის თითქმის 60 პროცენტი, შიდა ბაზარზე აუარება ბოსტნეული, ხილი (!), კვერცხი, სხვადასხვა სახეობის ხორცის ნაწარმი, კონსერვი და ა.შ. შემოდის.

ჩვენში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემშლელი პირობების თაობაზე არაერთგზის გვილაპარაკია, თუმცა, წლების განმავლობაში, არსებითად, ბევრი არაფერი არ იცვლება, მათ შორის, **ნელა ვითარდება ინფრასტრუქტურა, ძველებურად ძვირია ენერგოშემცველები და წყალი, ძნელადმისაწვდომია ფინანსები, დაბალია სოფლად თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის წილი, ფაქტობრივად, არ არსებობს სათანადო საკონსულტაციო მომსახურება, ხოლო წარმოებული სამამულო პროდუქცია მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე (უფრო შორეულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), საკმაოდ გაჭირვებით ხვდება, მაშინ, როდესაც ჩვენი ბაზარი იმპორტული საქონლისთვის ფაქტობრივად ღიაა.** ბოლო დროს სპეციალისტები გაუთავებლად ლაპარაკობენ იმაზე, რომ **საგადასახადო კოდექსის ამჟამინდელ რედაქციაში არსებითი დაზუსტებების შეტანაა საჭირო, ვინაიდან ბევრი დებულება ორნაირად გაგების შესაძლებლობას იძლევა, რაც არც პროდუქციის იმპორტიორებს აწყობთ და არც ექსპორტიორებს.** თუმცა, ამ მიმართულებით სასიკეთო ძვრას საშველი ვერა და ვერ დაადგა.

არსებული პრობლემების მიუხედავად, ჩვენი სასურსათო პროდუქციის გარკვეული, თუმცა კი მცირე ნაწილი, მაინც წარმატებით გადის უცხოურ ბაზარზე, მათ შორის, ღვინო, თხილი, მინერალური წყლები. გარკვეული მოცულობით გაგვაქვს ასევე ნატურალური წვენები, ჩაის ნედლეული, ზოგიერთი ბოსტნეულის კონსერვი. არადა, იმავე ბოსტნეულის, ხილის, მეცხოველეობა-მეფრინველეობის, გადამმუშავებელი სექტორის განსავითარებლად საუცხოო პოტენციალი გვაქვს, რასაც ათწლეულების განმავლობაში წარმატებით ვიყენებდით კიდეც, მაგრამ, რომ იტყვიან, „გზაში დავკარგეთ“. ექსპერტთა აზრით, ჩვენში სოფლის მეურნეობის აღორძინების პროცესი პრობლემების მკაფიო ჩამოყალიბებით და მათი გადასაჭრელად კონკრეტულ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელებით უნდა დაიწყოს, რაშიც უმნიშვნელოვანესი როლი სახელმწიფომ, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეასრულოს – ახალი ტექნოლოგიების შემოტანაში მხარდაჭერა იქნება ეს, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის სათანადო მოწესრიგება-განვითარება, იაფი კრედიტი, კოოპერაციის შექმნის თაობაზე კანონმდებლობის შექმნა, საირიგაციო სისტემების გამართვა, ტექნიკის მიწოდება, ძლიერი მარკეტინგული საკონსულტაციო-საგანმანათლებლო სისტემების ჩამოყალიბება და სხვ. უმნიშვნელოვანესია ენერგოშემცველების – გაზის, ელექტროენერგიის, ასევე წყლის ტარიფების შემცირების, რაც ადგილობრივ პროდუქციას კონკურენტუნარიანს გახდის, თუმცა კი ამ სფეროში ბუნებრივი მონოპოლისტები ამის გაკეთებას არ ჩქარობენ, უფრო სწორად კი, როგორც ჩანს, არც აპირებენ. არადა, ქვეყანას ნამდვილად აქვს იმის რესურსი, რომ ამჟამად წარმოებულზე სულ მცირე ხუთჯერ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მაინც აწარმოოს.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აგრარულ სექტორს განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს თუნდაც იმის გამო, რომ უცხოურზე მეტად მოსახლეობა ადგილობრივ ნატურალურ პროდუქციას ეტანება, მიწით სარგებლობის ხარჯი მაღალი არ არის, ქვეყანაში საკმაოდ კომფორტული ბიზნესგარემოა, იაფია მუშახელიც...

ეგაა ოღონდ, ყველაფერს გონივრულად მიდგომა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დროულად გამოყენება უნდა.

**ოთარ ტურაბელიძე**

# სახელმწიფო, მამხილებელი და დაუსჯელობის სინდრომი

**გვესაუბრება უფლებადამცველი, HUMAN RIGHTS WATCH-ის წარმომადგენელი გიორგი გოგია**



**– როგორ ფიქრობთ, რატომ არ დგას ექსმინისტრ ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი და რატომ არ ფიგურირებს იგი საქმეში?**

– ესეც გაუგებარია ჩემთვის. წარმოდგენა არა მაქვს. თუმცა, ამ საკითხზე სპეკულირებაცაა შესაძლებელი. შეიძლება, გამოიძიეს და დაადგინეს, რომ მისი პასუხისმგებლობა არ იყო. თუმცაღა მეეჭვება... მაგრამ პასუხი არა მაქვს. წამების საქმეების განხილვისას პროკურატურა ვალდებულია გამოავლინოს როგორც წამების უშუალო განმხორციელებლი, ასევე შემკვეთი, და წამებაში რაიმე სახით ჩართული ადამიანის როლი და პასუხისმგებლობა სრულად დააკისროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა კონვენციის მესამე მუხლი, რომელიც აბსოლუტურად კრძალავს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას.

**– 2011 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ერთგვარი კანონი ლუსტრაციის შესახებ სახელით „პატრიოტული აქტი“. მაგრამ საქართველოში არსებული კაგებეს არქივების მასალები „არდასახელებული არგუმენტების“ გამო არ საჯაროვდება. ცხადია, პოლიტიკური დირექტივის, ანუ „ზემოდან ბრძანების“ არარესებობის მიზეზით. გასაგებია, რომ ამ საკითხის განსჯა, ალბათ, არაა „ჰიუმან რაითს ვოტჩის“ კომპეტენცია, მაგრამ მაინც: ცნობილი საბჭოთა სექსოლოგი იგორ კონი თავის ერთ-ერთ წიგნში და არა მარტო ის, ასევე სხვა მკვლევარებიც თავის პუბლიკაციებში ახსენებენ, რომ სწორედ საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში არსებობდა პატიმარზე სექსუალური ძალადობის პოპულარული პრაქტიკა, რომელიც კაგებეს მიერ იყო დანერგილი. როგორ ფიქრობთ, ლუსტრაციის კანონის ამოქმედება შეძლებდა თუ არა წამების, როგორც ზოგადად სსრკ-ის ძალადობრივი რეჟიმის გამოცდილი იარაღის გამოყენების სრულად თუ არა, თუნდაც ნაწილობრივ ან მცირედით მაინც პრევენციას?**

– რთული კითხვაა, რადგანაც არ ვიცი, რა ინახება იმ არქივებში. ინფორმაციის არარსებობის პირობებში ამ კითხვაზე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება. საარქივო მასალის გასაჯაროება ხელს შეუწყობდა თუ არა წამების ნაწილობრივი თუ სრული აკრძალვის დანერგვას, არ ვიცი ესეც და ისიც, რატომ არ საჯაროვდება. თუმცა, ბუნებრივია, საინტერესოა, რა ინფორმაციაა იმ არქივში, რამდენადაა იგი კავშირში ციხეში არსებულ სიტუაციასთან.

**– ლატვიელი რეჟისორის ევინს სნორის ფილმში „სოვიეტ სტორი“ ნაჩვენებია სსრკ-ის ციხეებში ადამიანის გაუპატიურების ჩანახატები, რომელსაც საკნის დარაჯი აკეთებდა...**

– ის, რაზეც თქვენ საუბრობთ, ფსიქოლოგებისთვის, სოციოლოგებისა და ზოგადად საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, ანუ იმ გარემოებების ანალიზი, თუ რამ შექმნა დანაშაულის არსებობის წინაპირობა. ჩემთვის, როგორც უფლებადამცველისთვის, მნიშვნელოვანია ვიცოდე როგორ რეაგირებდა სახელმწიფო დანაშაულზე და ასრულებდა თუ არა იგი საერთაშორისოდ ნაკისრ ვალდებულებებს, როგორ წყვეტს იგი ამ პრობლემას. ძალიან რთულია ამ თემის კომენტირება იმის გათვალისწინებით, თუ რა იყო საბჭოთა კავშირის დროს, რა ინახება არქივებში, რატომ არ ხდება მისი გასაჯაროება. კარგად მესმის, რომ ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების სურვილია, გაანალიზდეს ის, რატომ ვართ იქ, სადაც ვართ და რა მანკიერება სჭირს სისტემას, როგორც წმინდა სამართლებრივი კუთხით, ასევე სხვა მიდგომითაც. მაგრამ ჩემი მხრივ დავძენ, რომ საზოგადოების მანკიერების აღმოსაფხვრელად უპირველესად მნიშვნელოვანია დაუსჯელობის სინდრომის სრულად აღმოფხვრა. შეუძლებელია, ერთი მხრივ, იძახო, რომ დაუშვებელია წამება და, მეორე მხრივ, არ დასაჯო ის ხალხი, ვინც ამას სჩადიოდა. სწორედ ესაა პრევენციული მექანიზმი, რომელმაც შეიძლება აგვარიდოს ის პრობლემა, რაც გვაქვს. ჩემთვის მნიშვნელოვანია როგორ ხდება პრობლემის მოგვარება აწმყოში.

**– „ციხის კადრების“ შემდგომ გაჩნდა არაერთი მოსაზრება და არგუმენტი, რომ „ცოცხის ეპიზოდი“ დადგმული იყო. როგორ უნდა მოხდეს ამ კადრების აუთენტურობის შემოწმება და თუ ეს კადრები შეთითხნილია, რა პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმათ, ვინც ამგვარ სცენებს „პერფორმირებდა“? ამას ემატება ლიტველი ექსპერტის დასკვნა, რომელმაც განაცხადა, გაუპატიურება არ ყოფილაო.**

– ეს არის გამოძიების პრეროგატივა. დიახ, არსებობს ექსპერტის ამგვარი დასკვნა, სადაც წერია, რომ იგი გაუპატიურების კადრებში არსებულ მსხვერპლ ორ პირს შეხვდა და მათ თქვეს, რომ ისინი არ იყვნენ გაუპატიურებულები. ექსპერტმა გამოკვლევა ჩაატარა და დაასკვნა, რომ ის ჭრილობები, რომელიც მათ გაუპატიურების შემთხვევაში შეიძლება ჰქონოდათ, არ აღმოაჩნდათ. აქედან დაასკვნა, რომ გაუპატიურება არ მომხდარა. მე არ ვარ ამ საკითხში კომპეტენტური და ვერც ამ თემის გარშემო დავიწყებ მსჯელობას. როცა ვნახე კადრები, პირველი ჩემი მოწოდება იყო, რომ გამოძიება ეფექტურად და სრულად უნდა წარმართულიყო. რა ხდებოდა, ვინ მონაწილეობდა, ვისი დაკვეთა იყო და ა.შ. ეს არის უნიშვნელოვანესი ფაქტორი და თუ ეს იყო დადგმა, რატომ დადგეს; თუ არა იყო დადგმა, რატომ ხდებოდა ამგვარი რამ? თუ ეს იყო სისტემური დანაშაული, რატომ იყო სისტემური და რა სახის დანაშული იყო ჩადენილი და ვინ მონაწილეობდა ამ დადგმაში. მსჯელობა უნდა იყოს არა შეფასებითი, არამედ უნდა მოხდეს დამნაშავეების დასჯა კანონის სრული სიმკაცრით. ესაა ჩემი კომენტარი. მე კადრების ექსპერტიზის ჩატარების საშუალება არა მაქვს.

**– დაირღვა თუ არა პატიმართა უფლებები წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კადრების საჯარო „სეანსების“ გამართვით? თანაც, ეს საჯარო ჩვენება ამ კადრების აუთენტურობის დადგენამდე გაიმართა.**

– აქ მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: როცა ტელევიზიით წამების კადრები გავრცელდა, მსხვერპლის ამოცნობა რთული იყო. ჩვენ ეს კადრები ვნახეთ და, ბუნებრივია, ეს იყო საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების შემცველი. რაც შეეხება იმ კადრებს, რომელიც პროკურატურას ჩაუვარდა ხელში და მერე მათი საჯარო ჩვენება დაიწყეს, მეც მიმიწვიეს ამ ჩვენებაზე და მე არ წავედი, რადგანაც ეს ჩემთვის პრინციპულად არ იყო მნიშვნელოვანი. ამიტომ, არ ვიცი, იყო თუ არა იქ იმის ალბათობა, რომ დარღვეულიყო პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და არც ის ვიცოდი, რამდენად ეფექტურად იქნებოდნენ ადამიანები დაფარული. ეს კინოსეანსი მე არაფერს არ მაძლევდა. თუ მათ ეს კადრები ჰქონდათ, ეს მათ გამოძიების დაწყებას ავალდებულებდათ და დანაშაულის ნიშნების არსებობისთანავე დამნაშავეები უნდა დაესაჯათ. ამიტომ მათი საჯარო და არასაჯარო ჩვენებაც არ მიმაჩნია სწორედ. გასაჯაროების საკითხის გადაწყვეტისას კი პირადი ხელშეუხებლობა არ უნდა დაირღვეს და იმ შემთხვევაშიც კი, თუ პიროვნების ფიზიკური მონაცემები დაფარული თუ დაშიფრული იყო, სულ მცირე, ამ ადამიანისგან ინფორმაციის გასაჯაროების ნებართვა მაინც უნდა ავიღოთ. ეს პროცედურა დაცული უნდა იყოს. არადა, საჯარო ჩვენებისას, მაგალითად, ვიღაცამ შეიძლება ეს კადრები გადაიღოს და ვინ გააკონტროლებს იმას, რომ ინფორმაციის გავრცელება კიდევ უფრო ფართოდ არ მოხდება და არ გასაჯაროვდება? სადაა ამის გარანტია, რომ ეს ასე არ იქნება? ჩემთვის ძალიან რთულია იმის გაგება, თუ რას ემსახურება ასეთი ჩვენება. მე მხედველობაში მაქვს ის, რაც პროკურატურამ მოაწყო. მედიას სხვა სტანდარტები, სხვა ვალდებულებები აქვს და მედიის ვალდებულებაა გაასაჯაროოს მასალა; მედია, პირველ რიგში, სენსაციას ეძებს, თუმცაღა მან ამ პროცესშიც ჩვენი უფლებები არ უნდა დაარღვიოს; უნდა უზრუნველყოს პიროვნების იდენტიფიცირების შეუძლებლობა. სულ სხვა საკითხია, თუ რისთვის აკეთებს ამას პროკურატურა. ამიტომაც არ წავედი. თუ პროკურატურამ იცის, რომ ეს დანაშაულია, წამება, ანდა არალეგალური ფარული მიყურადებაა, ის ვალდებულია გამოიძიოს და რეაგირება მისცეს და მისი საქმე არაა რაიმე სახის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მიიღოს მონაწილეობა და სწორედ ამ მიზნით გაასაჯაროოს და ჩვენებები დახურულ სივრცეში მოაწყოს.

**– რამდენად უნდა დადგეს ნაწამები პატიმრების ადვოკატების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ფართო საზოგადოებას პრესკონფერენციებით, პიკეტებით თუ სხვა ცივილიზებული სამყაროსთვის მისაღები მეთოდებით ხისტი დირექტიულობით არ აცნობდნენ საზოგადოებას არსებულ საქმეთა ვითარებას? თუნდაც ეს თემა (ვგულისხმობ გაუპატიურებას) ტაბუირებული ყოფილიყო? პატრიარქალურ საზოგადოებაში სავსებით გასაგებია თემის საჩოთირო კონოტაცია, მაგრამ ადვოკატის პირდაპირი მოვალეობა იყო, არის და იქნება მისი დაცვის ქვეშ მყოფის პროფესიული დაცვა და არა პრობლემის მიჩქმალვა. ძალიან ბევრმა გვანცა ყუფარაძის „ქეისი“ მისი დამცველების მიერ შექმნილი ფეისბუქის გვერდის საშუალებით შეიტყო.**

– როცა ადამიანი ადვოკატს აიყვანს, იგი მისგან გარკვეული საფასურის სანაცვლოდ სერვისს ყიდულობს და ამაზე ისინი წინასწარ თანხმდებიან. რატომ არ აქტიურობდა ადვოკატი საზოგადოებრივად, ეს არასამართლებრივი კითხვაა. ის არ იყო ვალდებული, გამოსულიყო და ეყვირა, მედია დაეინტერესებინა და ამიტომ ამას მას ვერ მოვთხოვთ. იგი არაა ვალდებული სოცქსელებში მხარდამჭერი ჯგუფები შექმნას, დადოს ინფორმაცია, ტრადიციულ მედიას არატრადიციული მედიის აქტივობებიც მიამატოს და ა.შ. ეს არაა მისი მოვალეობა. მისი მოვალეობაა იურიდიული დაცვა. თუ მან ეს დაცვა განახორციელა, მაშინ მას უკვე აქვს შესრულებული თავისი მოვალეობა. ხოლო რამდენად ეფექტიანად თუ არაეფექტიანად დაიცვა მან თავისი კლიენტი, ეს მასა და მის კლიენტს შორის გასარკვევი საკითხია.

**– საზოგადოებას ხმა რომ არ ამოეღო, გირგვლიანის საქმე ისე ჩაიფარცხებოდა, რომ ამას ვერც კი გავიგებდით.**

– ყველა საქმეზე იგივე საზოგადოებრივი აქტივობა, რაც გირგვლიანის საქმეზე მოხდა, ვერ განხორციელდება. ათი ათასობით საქმეა ძიებაში და ყველა საქმეზე საზოგადოება ვერ მოახდენს ასეთ ხმაურიან რეაგირებას, რადგანაც ეს ისედაც პოლიტიზებულ საზოგადოებაში შეუძლებელია.

**– მაგრამ იმიტომაცაა, რომ სახალხო დამცველი არაა აუცილებელი იყოს იურისტი. ის შეიძლება ფილოლოგიც იყოს.**

– დიახ, ასეა, მაგრამ რაც ადრე ხდებოდა საქართველოში, ეს იყო სახელმწიფო პოლიტიკის და ნულოვანი ტოლერანტობის ბრალი. თუნდაც ის, რომ პატარა ბიჭმა ჩხუბში ვიღაც გაკაწრა, 7 წელი მიუსაჯეს და გირგვლიანის მკვლელებს – 3 და 4 წელი. რასაკვირველია, ამგვარი სამართლებრივი პოლიტიკა იყო პოლიტიკური შეკვეთა. სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის გამო იყო უმკაცრესი განაჩენები სასჯელთა შეკრებითობის პრინციპის გამო და სასჯელი დანაშაულის არაადეკვატური იყო. ამგვარი იყო სისხლის სამართლის პოლიტიკა – ნულოვანი ტოლერანტობა. ამას დადებითი მხარეც ჰქონდა, რადგანაც დანაშაულის სტატისტიკა შემცირდა, მაგრამ უარყოფითი მხარეც ჰქონდა, როცა მცირედ ქურდობაზე დაჭერილი ისეთივე სიმკაცრით ისჯებოდა, როგორადაც – ყაჩაღი. და ეს არ იყო ადვოკატის ბრალი, რადგანაც ეს იყო ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკა. იგი, იმედია, შეიცვლება და ჩვენ უფრო ლმობიერ სისხლის სამართლებრივ პოლიტიკას მივიღებთ.

**– თქვენ ხომ არ ენდობით სახელმწიფოს სტრუქტურებს, სოლიდარობას უცხადებთ ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლთ და ხართ Watch Dog-ები, იმიტომაც არსებობს „ჰიუმან რაითს ვოტჩის“ მსგავსი ორგანიზაციები. რამდენად ძალგიძთ, რომ თქვენმა ორგანიზაციამ წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების ხელმისაწვდომობას გაუწიოს მონიტორინგი?**

– სამწუხაროდ, ბევრს ავიწყდება, რომ ამ კანონდარღვევაში ორი მხარე არსებობს – დანაშაულის ჩამდენი და მსხვერპლი და ხშირად მთელი ყურადღება დამნაშავეზეა გადატანილი. მსხვერპლის რებილიტაციის პირველი კომპონენტია დამნაშავის დასჯა; მეორე – სრული უფლებრივი, ქონებრივი და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ვალდებულებაც სახელმწიფოს აქვს. იგი ვალდებული იყო დაეცვა ის, მაგრამ, რახან ვერ დაიცვა, სახელმწიფოა ვალდებული, რომ პირველ საფეხურზე დასაჯოს დამნაშავე და მალევე მსხვერპლსაც დაეხმაროს. „ჰიუმან რაითს ვოტჩს“ არა აქვს იმის საშუალება, რომ მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესს თვალი მიადევნოს. თუმცა, ცნობილი გახდა, რომ ასეულობით ადამიანს, ვინც წამების მსხვერპლად ჩაითვალა, ჩაუტარდა კიდეც ოპერაციები ხერხემალზე, ცხვირზე, კიდურებზე. თუმცა, მე არც იმის საშუალება მქონდა, რომ ეს ფაქტები გადამემოწმებინა.

**– ახლაც არაერთი საქმეა, რაც უფლებადაცვითი ორგანიზაციების ყურადღებას ითხოვს: მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობის საქმე; ცოტნე მამულაშვილის საქმე, რომლის „მამხილებელი“ თავადაა ნაწამები, რათა მის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა და თან მამულაშვილის ოჯახი იძულებული იყო ამ „მოწმისთვისაც“ ადვოკატი აეყვანა, რადგანაც თუ ადამიანი სოციალურ დაუცველთა სიაში არაა, მას სახელმწიფო სახაზინო ადვოკატს არ უნიშნავს. ასე რომ, მოწმე, რამდენადაც ვიცი, ორი კვირა ციხეში იურიდიული დაცვის გარეშე იყო. ანდა, ხათუნა ქიქაშვილის საქმე, როცა უნარშეზღუდულ ადამიანს, რომელიც ვერ გადაადგილდება, ქურდობას და მოპარულით გაქცევას აბრალებენ და რამდენიმე წელს უსჯიან ისე, რომ სასამართლოზე „დაზარალებულიც“ კი არ მოდის. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ადვოკატის პასუხისმგებლობაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში პროკურორის, მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგას?**

– რაც თქვენ აღნიშნეთ, საშინელებაა, მაგრამ „ჰიუმან რაითს ვოტჩს“ არა აქვს ინდივიდუალურ საქმეებზე მუშაობის საშუალება. სამწუხაროდ, ზემოჩამოთვლილი შემთხვევები გამონაკლისი არაა. თუმცა, ამგვარი საქმეების განხილვისას უნდა არსებობდნენ ორგანიზაციები, რომლებსაც ინდივიდუალური დამხარება, რეაგირება შეუძლიათ. მე, სამწუხაროდ, იმის ფუფუნება და მანდატი არა მაქვს, რომ ამგვარი საქმეები გამოვიკვლიო. მე სამხრეთ კავკასიის ქვეყანაზე ვმუშაობ და ანგარიშებს ვამზადდებ. თუმცა, გამონაკლისს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დამცველებზე თავდასხმები, მათი დაკავებები, რაც უდაოდ ნეგატიურ გავლენას იქონიებს ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე და ამ შემთხვევაში მყისიერად ვაკეთებთ განცხადებას და ვრეაგირებთ, რადგანაც ადამიანის უფლებების დამცველის დაკავება – ეს არის ქვეყნის პოლიტიკის სახე. ამგვარი შემთხვევები არ კვალიფიცირდება მხოლოდ ერთი ინდივიდის დაჭერით, არამედ იმის გამომჟღავნებით, რომ არსებობს ზოგადად ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო ქმედება. სამწუხაროდ, ადამიანის უფლებების დარღვევის ძალიან ბევრი შემაძრწუნებელი საქმე არსებობს.

**– რამდენად ადეკვატურად თვლით 17 მაისს ძალადობის მოთავეთა გათავისუფლებას 100–ლარიანი ჯარიმით და საზოგადოებრივ ადგილებში ე.წ. ამორალური ქმედებისთვის – 300-ლარიან ჯარიმას?**

– მსოფლიოში არ არსებობს ჯარიმის, სანქციის საერთაშორისო სტანდარტები და ამიტომ ვერ განვსჯი, რამდენად ადეკვატურია ეს 100 ან 300 ლარი. ასევე, არ შემიძლია, ზუსტად ვთქვა, თუ რაში ედებოდათ ბრალი ამ ოდენობის თანხის გადახდის დავალდებულებების დროს. ჩემი მანდატი იმის საშუალებას მაძლევს, რომ დავაკვირდე, სახელმწიფომ გამოიძია თუ არა კრიმინალი, ადამიანის უფლებების უხეში შელახვა და დასაჯა თუ არა დამნაშავეები. ფაქტია: დაუსჯელობის სინდრომს მოჰყვა ის, რომ 17 მაისის შემდეგ კიდევ დაახლოებით ათი ადამიანი ე.წ. „სიძულვილის დანაშაულის“ (Hate Crime) მსხვერპლი გახდა და ეს სტატისტიკა მას მერე გაიზარდა, რაც 17 მაისს დარბევაში მონაწილეები არ დასაჯეს.

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ

დასასრული. დასაწყისი იხ. № 212

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**საქართველოს მომხიბვლელობაზე დიდი ხანია, ლაპარაკობენ. 1947 წელს მწერალი ჯონ სტეინბეკი საბჭოთა კავშირში მოგზაურობდა და არაერთხელ გაიგონა, როგორ ახსენებდნენ რუსები „საქართველოს ჯადოსნურ სახელს“. „ისინი ქართველებზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ზეადამიანებზე, მაგარ მსმელებზე, მაგარ მოცეკვავეებზე, მაგარ მუსიკოსებზე, მაგარ მშრომელებზე და საყვარლებზე“, — წერდა მაშინ სტეინბეკი.**

მაგრამ მხოლოდ 2004 წელს პრეზიდენტად არჩეულმა მიხეილ-მიშა სააკაშვილმა შეძლო ამ მომხიბვლელობის აყვანა გრანდიოზული სტრატეგიის სიმაღლეზე და ისიც იმისთვის, რომ ზოგადად დასავლეთის, განსაკუთრებით კი ჯორჯ ბუშის თეთრი სახლის გული მოეგო და ამით საქართველოში ძალაუფლება შეენარჩუნებინა. ამ სტრატეგიამ, საბოლოოდ, მარცხი განიცადა, რაც პრინციპში გარდაუვალი იყო. სულ რაღაც ერთი წლის წინათ, სააკაშვილი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ მოიგებდა პარლამენტის არჩევნებს და მისი გუნდი ხელისუფლებაში თითქმის უსასრულოდ დარჩებოდა. მაგრამ 2013 წლის ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში დამარცხებამ და ამის შემდეგ მისი მთავრობის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა გამომზეურებამ, მისი პოპულარობა გააცამტვერა. გასულ თვეში მოწყობილმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქართველთა 57 პროცენტს სააკაშვილი არ მოსწონს, და ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტი იწონებს მის საქმიანობას. მან ცხრა წელი იბატონა ქვეყანაში და ბოლო 12 თვის განმავლობაშიც სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე რჩებოდა, თუმცა, რეალურად ის უკვე ირელევანტური იყო.

# აბა, სააკაშვილო, კარგად!

## პრეზიდენტი, რომლის მმართველობა პიარტექნოლოგიებმა აცოცხლა და პიარტექნოლოგიებმა „მოკლა“



მაგრამ სააკაშვილს ყოველთვის ეგონა, რომ პოპულარობა დასავლეთში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პოპულარობის შენარჩუნება შინ. გარკვეული თვალსაზრისით, ის კი არ უნდა ვიკითხოთ, თუ რატომ განიცადა მარცხი მისმა ამ სტრატეგიამ, არამედ ის, თუ რატომ გაძლო ამ ყველაფერმა ასე დიდხანს. და პასუხის გაცემა ამ კითხვაზე მხოლოდ სააკაშვილის დასავლელ „კეთილისმსურველებს“ შეუძლიათ.

### მთავარი PR სტრატეგი

**სააკაშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობის შეფასებისას მითისა და რეალობის ერთმანეთისგან გარჩევა რთულია, რადგან მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე ის განზრახ შლიდა ზღვარს პოლიტიკურ რეალობასა და მის PR ძალისხმევას შორის. სააკაშვილის მმართველობის დიდი ნაწილი რებრენდინგის მცდელობა იყო, რომელიც წააგავდა ტონი ბლერის 90-იანი წლების კამპანიას „მაგარი ბრიტანეთი“.**

2003 წლის „ვარდების“ სახალხო რევოლუცია, რომელსაც სააკაშვილი ჩაუდგა სათავეში, საკმაოდ რეალური იყო. ამ რევოლუციით დაემხო მისი ყოფილი პატრონის ედუარდ შევარდნაძის ძალაუფლება. ორი თვის შემდეგ სააკაშვილი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა მეთაურად იქცა ევროპაში და მანვე დანიშნა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მთავრობა, რომელიც ძალიან იყო მოწადინებული სახელმწიფოებრივი რეფორმების განხორციელებაში.

მაგრამ შემდგომში სააკაშვილი მხოლოდ ეპიზოდურად ერთვებოდა მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობაში. მისი მთავარი მოვალეობა ორი როლის შესრულება იყო: იდეების გენერატორისა და მისი რეფორმების სეილსმენის როლი. სააკაშვილმა ეს როლი ენთუზიაზმით მოირგო და დაუღალავად უწევდა რეკლამას იდეას, რომლის თანახმადაც, „ვარდების რევოლუციის“ წყალობით, საქართველომ „მენტალურ რევოლუციას“ დაუდო სათავე, რომ ქართველებმა რეალურად გადალახეს საკუთარი ისტორია, შეუერთდნენ დასავლეთს და ერთი პოლიტიკური ძალისხმევით განახორციელეს პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ტრანსფორმაცია.

მაგრამ სააკაშვილს ყველაზე საბედისწერო ურთიერთობა მედიასთან კი არა, არამედ თავის კოლეგასთან, ჯორჯ ბუშთან ჰქონდა. როდესაც 2004 წლის თებერვალში სააკაშვილი ვაშინგტონში ჩავიდა, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ერთი ნახვით შეყვარება შემდგარიყო. თეთრ სახლში სტუმრობისას მან ენთუზიაზმით მოცულ აუდიტორიას თავის სწრაფ, შესანიშნავ ინგლისურზე განუცხადა, რომ, როგორც ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, „შინ დაბრუნების განსაკუთრებული“ განცდა აქვს. ამბობენ, რომ ერთი საათით ადრე, სანამ ბუშს შეხვდებოდა ოვალურ კაბინეტში, ის ნაჩქარევად სწავლობდა ბუშის იმ გამოსვლის ტექსტს, რომელიც მან ერთი თვით ადრე წარმოთქვა კონგრესში. როდესაც პრეზიდენტს პრივატულად ხვდებოდა, მან რამდენჯერმე მოიყვანა ციტატა თავისუფლებასა და დემოკრატიაზე ბუშის გამოსვლიდან, რასაც ბუში და მისი გუნდი აღფრთოვანებით ისმენდა.

აი, ამ მომენტიდან გადაწყვიტა, როგორც ჩანს, ბუშმა, რომ სააკაშვილი „ჩვენი კაცი“ იყო. საჯარო კომენტარში მოგვიანებით ბუშმა უთხრა სააკაშვილს — „მე ვამაყობ იმით, რომ შემიძლია მეგობარი გიწოდო“.

სააკაშვილი იდეალურად უხდებოდა რეფორმატორი ლიდერის ბუშისთვის სასურველ იმიჯს: ის ახალგაზრდა იყო, კარგად ლაპარაკობდა ინგლისურად, იცოდა რეფორმებისა და დემოკრატიის ლექსიკა, და რაც სულაც არ იყო უმნიშვნელო, მზად იყო მხარი დაეჭირა აშშ-ის პოლიტიკისთვის ავღანეთსა და ერაყში. მათზე შთაბეჭდილება იმანაც მოახდინა, რომ ის ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის იდეას ერთგულებდა. სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი წელი, დიდი წარმატების ისტორიას წარმოადგენდა. ძალიან სწრაფად ამოძირკვა საბჭოთა ეპოქის ბიუროკრატია საქართველოში და შექმნა ახალი საგზაო პოლიცია, საგადასახადო და მუნიციპალური სამსახურები. დაბალ დონეზე მექრთამეობა აღმოიფხვრა. ყველაფერი, დაწყებული სასკოლო სისტემიდან, ეროვნული დროშით დამთავრებული, შეიცვალა.

მაგრამ ამერიკელებს, როგორც ჩანს, არ აწუხებდათ ის ფაქტი, რომ სააკაშვილის მართვის სტილი უფრო ავტორიტარული იყო, ვიდრე მისი ლიბერალური რიტორიკა. მისი მთავრობა მოდერნიზაციას ზევიდან ქვევით ატარებდა, სულ უფრო სასტიკად და სულ უფრო მეტად უგულებელყოფდა მოსახლეობის დიდ ნაწილს. სააკაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, პრეზიდენტის მთავარი ძალოვანი იყო. მერაბიშვილს დამსახურებულად აქებდნენ ორგანიზებული კრიმინალის ძლევამოსილი ბატონების განადგურების გამო. მაგრამ მანქანამ, რომელიც მან შექმნა, საქართველო პოლიციურ სახელმწიფოდ აქცია. ტოტალური თვალთვალი ჩვეულებრივ ამბად იქცა. სამართალდამცავი ორგანიზაციების ქსელი ისეთი დიდი იყო, რომ საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, ევროპაში ყველაზე დიდი საპატიმრო პოპულაცია ჰყავდა. ამ სტატისტიკაში არ არის ასახული ის ათასობით ადამიანი, რომელიც მუდმივ საფრთხეში ცხოვრობდა საპროცესო გარიგების მანკიერი სისტემის გამო. ეს ადამიანები ნებისმიერ წუთში, სასამართლოს გარეშე, შეიძლება დაეპატიმრებინათ. ქვეყნის საპატიმროებში კი მთავრობამ წამება ინსტიტუციურ პრაქტიკად აქცია, ადგილად, სადაც პატიმრებს ციხის მცველები აუპატიურებდნენ.

### დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა

**2007 წლისთვის საქართველოს ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ან მარგინალიზებულად გრძნობდა თავს, ან განდევნილი იყო სააკაშვილის პროექტებიდან. დასავლეთ ევროპის ქვეყნები ასევე მეტი სკეპტიციზმით განიმსჭვალნენ. მაგრამ სააკაშვილის მხარდამჭერთა უმეტესობა შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, მისი ერთგული რჩებოდნენ. ამერიკული მხარდაჭერა მას ქვეყნის შიგნით კრიტიკისგან იცავდა — მაგრამ საბოლოოდ სწორედ ამ მხარდაჭერამ დაღუპა ის. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებიც და ქართველებიც მიეჩვივნენ სიტყვას „მოკავშირე“, როდესაც ერთმანეთზე ლაპარაკობდნენ, ამ ორ ქვეყანას შორის არასდროს დამყარებულა ოფიციალური ალიანსი. სააკაშვილმა დაუშვა ის, რომ ბუშის თეთრი სახლის მხურვალე მხარდაჭერამ მას რეალობის განცდა დააკარგვინა.**

სააკაშვილის შეცდომები გააშიშვლა რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულმა ომმა, რომელიც სეპარატისტული რეგიონის, სამხრეთი ოსეთის გამო დაიწყო. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ომი სააკაშვილის გადაწყვეტილებამ გამოიწვია — ის თავს დაესხა სამხრეთი ოსეთის დედაქალაქს, ცხინვალს. მარცხისთვის განწირულმა ამ მცდელობამ, რომლის მიზანი იყო ძალის გამოყენებით დაებრუნებინა სამხრეთი ოსეთი, შედეგად ის გამოიღო, რომ რუსეთმა კარგად მომზადებული და მასობრივი თავდასხმა განახორციელა მის ქვეყანაზე. სააკაშვილს, ალბათ, სჯეროდა, რომ თუ ცხინვალს დაიპყრობდა, შეერთებული შტატები მას რუსეთისგან დაიცავდა.

ომმა მისი პირადი მომხიბვლელობის და ბრწყინვალების საზღვრებიც გააშიშვლა. მისი უცხოელი თანამოსაუბრეები ამბობდნენ, რომ მათ აშინებდათ და ღლიდათ მონოლოგებისადმი მისი მიდრეკილება. ერთმა დასავლელმა მითხრა: „მასთან შეხვედრის შემდეგ უნდა დაწვე და დალიო“. უცხოელმა ანალიტიკოსებმა შენიშნეს, რომ მისი გადაწყვეტილებები უსისტემო იყო და მას არ ანაღვლებდა თავისი მთავრობის მოსაზრებები. და, რეალურად, გადაწყვეტილებების უმეტესობას იღებდა სააკაშვილზე ახალგაზრდა (სააკაშვილი 2008 წელს 41 წლის იყო) მრჩეველთა მცირე ჯგუფი შუაღამის შემდეგ, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობა ვაშინგტონის დროით მუშაობდა.

სააკაშვილის არაფორმალური სისტემა ვერ უმკლავდებოდა დაძაბულობას. მარცხის იმ მიზეზებს შორის, რომელიც ქართველმა სამხედროებმა დაასახელეს, იყო ის, რომ ისინი ბრძანებებს მობილური ტელეფონებით იღებდნენ და არა სტანდარტული სამხედრო საშუალებებით. სულ რაღაც ხუთი დღის შემდეგ, საქართველომ რუსეთისგან გარდაუვალი და დამამცირებელი მარცხი იგემა.

სააკაშვილის იმპულსურმა, მკვეთრმა სტილმა მას ვნებიანი თაყვანისმცემლები შესძინა, მაგრამ ამავე დროს ბევრი მტერიც, რომელთა შორის იყვნენ, როგორც ბევრი მისი ყოფილი მინისტრი, ასევე გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი.

2008 წლის შემდეგ მტრების ამ სიას მნიშვნელოვანი ფიგურა, საქართველოს უმდიდრესი კაცი, ბიძინა ივანიშვილიც შეემატა. ივანიშვილი ადრე მხარს უჭერდა სააკაშვილის მთავრობას და ბევრ მის პროექტს აფინანსებდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, რომელიც ბოლომდე ცნობილი არ არის, გაბრაზებულმა გაწყვიტა მასთან ურთიერთობა.

ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოში ამ ორი კაცის უთანხმოება სჭარბობდა ყველაფერს. სააკაშვილმა თავიდან სცადა, ყველაფერი ეღონა იმისთვის, რომ გაენადგურებინა ივანიშვილი, წაართვა მას ქართული პასპორტი, ართმევდა ქონებას, აჩერებდა მის მედიას. მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა გაიმარჯვა 2012 წლის არჩევნებში, ივანიშვილმა გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ გაენადგურებინა სააკაშვილი, სცადა მისი აპარატის დაფინანსების შეწყვეტა და ბევრი მისი მოკავშირე დაიჭირა.

### საქართველოზე ფიქრით

**სააკაშვილის დამსახურებაა ის, რომ მართალია, არ იყო დემოკრატი, მაგრამ საკმარისად ფიქრობდა საკუთარ მემკვიდრეობაზე და ამიტომ ქართველებს შეაძლებინა პოლიტიკური ცვლილების განხორციელება, რაც მათ ასე აშკარად უნდოდათ. გასული წლის განმავლობაში საქართველო უფრო ქართული გახდა, უფრო უკეთ ამას ვერ აღწერ. ის ერთსა და იმავე დროს უფრო დემოკრატიულია, უფრო ღიაა, უფრო ნაციონალისტურია და უფრო მართლმადიდებლურია. ახლა უკვე ისე ჩანს, რომ სააკაშვილის „მენტალური რევოლუცია“ მირაჟი იყო. მისი ყველაზე გახმაურებული ანტისტალინური კამპანია, ამ თვალსაზრისით ნიშნეულია: კამპანიის მთავარი მომენტი იყო სტალინის უზარმაზარი ძეგლის აღება დიქტატორის მშობლიური ქალაქიდან — გორიდან, მაგრამ ეს გაკეთდა ისე, რომ საჯაროდ არავის განუხილავს. ამ აქტმა შენიღბა ის სამწუხარო რეალობა, რომ ქართველები პატივს სცემენ სტალინის ხსოვნას (გასულ ოქტომბერს „კარნეგის ფონდის“ შეკვეთით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართველთა 45 პროცენტს სტალინისადმი ჯერ კიდევ კარგი დამოკიდებულება აქვს). ახლა გორის მოსახლეობას ძეგლის უკან დაბრუნება უნდა.**

პრაქტიკული თვალსაზრისით ახალი მთავრობის მოღვაწეობა არაერთმნიშვნელოვანია. მან წაიწია წინ სააკაშვილის მიერ დატოვებული რამდენიმე პრობლემის გადაწყვეტაში. სასამართლო სისტემა განმტკიცდა და გათავისუფლდა პოლიტიკური კონტროლისგან. მედია უფრო მრავალფეროვანია. პარლამენტი უფრო ცოცხალია და აღარ არის პრეზიდენტის ბრძანებების უსიტყვო შემსრულებელი. აფხაზეთის საზღვარზე მთავრობის მცდელობით, მოძრაობა გამოცოცხლდა და სამხრეთ ოსეთთანაც არის მიღწევები. მაგრამ ამ მთავრობას, თავისი რკინისმუშტიანი წინამორბედებისგან განსხვავებით, რამდენადმე აკლია კომპეტენტურობა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები შენელდა, და საქართველოს ყველაზე დიდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები — უმუშევრობა და სიღარიბე სოფლად, ივანიშვილის დაპირებების მიუხედავად, ძალაში რჩება. ამავე დროს, ზოგიერთი პოლიტიკური ცვლილება, რომელიც ძალიან იყო დაგვიანებული, ახალი პრობლემების მიზეზი გახდა. ასე ძალიან საჭირო საპატიმრო ამნისტიამ, რომელმაც შეამცირა საქართველოს საპატიმრო პოპულაცია და შედარებით ცივილიზებულ დონემდე დაიყვანა, კრიმინალური მაჩვენებლები გაზარდა.

მიმდინარე კვირას საქართველომ ახალი პრეზიდენტი შეიძინა. მას ნაკლები საკონსტიტუციო უფლებები აქვს და ის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი გიორგი მარგველაშვილია. ივანიშვილიც გადადგება პრემიერ-მინისტრის პოსტიდან. შედეგად, საქართველოს მალე ორი ლიდერი ეყოლება, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, რომელთაც ქვეყნის გარეთ თითქმის არავინ იცნობს. მაგრამ დღემდე გაურკვეველია, რა ელის თავად სააკაშვილს. მთავარი კითხვა ახლა ასე ჟღერს — გაასამართლებენ მას თუ არა, როდესაც ის პრეზიდენტის პოსტიდან წავა. პასუხი ამ კითხვაზე აშკარად დამოკიდებულია პროკურატურაზე, შეუძლია თუ არა მას დადოს ისეთი მტკიცებულებანი, რომელიც სერიოზულად მამხილებელია. საქართველოში ბევრია ისეთი ამომრჩეველი, ვინც მხარს დაუჭერს სააკაშვილის დაპატიმრებას. ამ პოზიციას, ალბათ, ბევრი იზიარებს მთავრობაში და, მათ შორის, ალბათ, ივანიშვილიც.

მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ სააკაშვილის დაპატიმრება შელახავს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას. ბევრი ქართველი აღარ იხიბლება სააკაშვილით, მაგრამ მისმა მომხიბვლელობამ შესძინა მას მეგობრები იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ახალ მთავრობას კარგი ურთიერთობები სჭირდება. მოსწონთ თუ არა ეს, სააკაშვილის მემკვიდრეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სააკაშვილი ბევრად უფრო ცნობილია, ვიდრე ისინი, და ასე იქნება, სულ ცოტა, უახლოეს მომავალში. ყველა ამ ფაქტის გათვალისწინებით, ყველაზე ბრძნული მათი მხრიდან ის იქნება, თუ წყნარი ირონიით შეხედავენ არსებულ სიტუაციას — იმ ფაქტს, რომ უცხოეთში პოპულარობამ დაღუპა სააკაშვილი, მაგრამ ამავე დროს გადაარჩინა კიდეც.

**თომას დე ვაალი.**
**FOREIGN AFFAIRS**

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკის ქალაქ დენვერში შეიარაღებული მამაკაცები სკოლის ტერიტორიაზე შეიჭრნენ**

სასწავლებლის შენობას პოლიციის სპეცნაზი შემოერტყა. მომხდარი ამბის ადგილზე მოიტანეს რობოტი-მესანგრე იმის გამო, რომ სკოლაში შეჭრილ მამაკაცებს მხრებზე ეკიდათ ჩანთები, რომლებშიც, შეიძლება, ასაფეთქებელი ნივთიერებები იყოს. ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივ ობიექტებზე შეიარაღებული თავდასხმის ეს უკვე მესამე შემთხვევაა ერთ კვირაზე ნაკლებ პერიოდში.

* * *

**ავსტრალიაში აღმოაჩინეს გიგანტურკბილიანი იხვნისკარტა**



მიახლოებული გაანგარიშებით, თანამედროვე იხვნისკარტების წინაპარი დედამიწაზე 5-დან 15 მილიონამდე წლის წინათ ცხოვრობდა. თავისი სიდიდით იგი ამ სახეობის თანამედროვე წარმომადგენლებზე ორჯერ დიდია და შიშის ზარს სცემდა მაშინდელ დედამიწის ცხოველებს.

* * *

**რუსეთის მიერ ძებნილი პოლონსკის ფოტო ინტერნეტის საიტზე გამოჩნდა**




ამიერიდან ის ქვეყნები, სადაც არის ინტერპოლის წარმომადგენლობა, ვალდებულია დააკავოს რუსი მეწარმე, თუ იგი მათ ტერიტორიაზე აღმოჩნდება. თავად პოლონსკი დიდი ხანია, არ მალავს თავის ადგილსამყოფელს, არ ეზარება და აქვეყნებს თავის ბლოგში კამბოჯაში თავისი „სამოთხური“ ცხოვრების ფოტოებსა და ვიდეოებს.

* * *

**ირმის ნახტომი მილიონობით პლანეტას ითვლის, რომლებზეც ვითარდება სიცოცხლე, მიაჩნიათ მეცნიერებს**

ამერიკული ტელესკოპიდან მიღებული ინფორმაციის წყალობით, მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ დაახლოებით ყოველი მეხუთე ვარსკვლავი, რომელიც მზეს ჰგავს, დედამიწის ანალოგიურია. პლანეტების შედარებისთვის პარამეტრებს შორისაა — მოცულობა, მასა და ტემპერატურა ზედაპირზე.



# უცნობი პუტინი

**იმის მიუხედავად, რომ ქართულ საინფორმაციო სივრცეში ვლადიმერ პუტინს უცხოელ პოლიტიკოსთაგან ყველაზე ხშირად ახსენებენ, მის შესახებ ფართო საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის, ან მხოლოდ ის გაუგია, რაც პროპაგანდის იარაღად ქცეულმა სააკაშვილის ტელევიზიებმა მოახვიეს თავს. მეზობელი ქვეყნისა და მისი მეთაურის მტრად გამოცხადებამ კი საბოლოოდ უმძიმესი შედეგები მოუტანა საქართველოს. ამ ნაკლულ რგოლს ერთგვარად ავსებს გამომცემლობა სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ ახლახან გამოცემული წიგნი „უცნობი პუტინი“ იგი მიზნად ისახავს, მკითხველს პუტინის პიროვნებისა და მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე რეალური წარმოდგენა შეუქმნას, ურომლისოდაც, ვფიქრობთ, საკუთარი აწმყოს აღქმა და მომავლის განსაზღვრა შეუძლებელი იქნება. პუტინი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტია და, სავარაუდოდ, კიდევ ათი წელი იქნება ამ პოსტზე. მასთან ურთიერთობის გარეშე საქართველოს პრობლემებს ვერც პოლიტიკოსები მოაგვარებენ და ვერც საზოგადოება შეიქმნის მართებულ აზრს.**

**გამომცემლობა სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავაზიანი ნებართვით ვბეჭდავთ ორ თავს წიგნიდან „უცნობი პუტინი“, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხება.**




## მითები პუტინის შესახებ

**2012 წლის ოქტომბერში გერმანულენოვან ინტერნეტ-გამოცემა Focus-ში გამოქვეყნდა ბორის რაიტშუსტერის სტატია „რუსეთის პრეზიდენტის 60 წლისთავისთვის: ექვსი მთავარი მითი ვლადიმერ პუტინის შესახებ“.** ავტორი კრიტიკულად არის განწყობილი ვ. პუტინისა და მისი მმართველების სტილის მიმართ. ერთ-ერთ მითად მას მიაჩნია **ვ. პუტინის ნოსტალგია საბჭოთა კავშირის მიმართ.** მისი აზრით, ვ. პუტინის რუსეთში აღარაფერი დარჩა სსრკ-ის სოციალური მიღწევებიდან. „დღევანდელ რუსეთში აღვირახსნილი კაპიტალიზმი მეფობს, რომელთან შედარებითაც აშშ სოციალისტური სახელმწიფოს ნიმუშად გამოიყურება, ხოლო გერმანია საერთოდ სოციალისტური ქვეყანა გამოდის: რუსეთში არ არის დამოუკიდებელი პროფკავშირები, რომლებიც მშრომელთა უფლებებს დაიცავდა, შრომის ბაზარზე ძლიერის უფლებები მოქმედებს, სოციალური დაცვა, ფაქტობრივად, არ არის, ხოლო სამედიცინო უზრუნველყოფა ხშირად ფულის საკითხია“.

ერთი სიტყვით, **ვ. პუტინი ხან საბჭოთა კავშირის „აღმდგენია“, ხანაც მისი სოციალური სიკეთეების მესაფლავე! რაიტშუსტერის კრიტიკის გაზიარება შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა დასავლეთის მიერ დემოკრატად აღიარებული ელცინი, რომლის მმართველობამაც მოუღო ბოლო რუსეთში ყველა სოციალურ სიკეთეს! მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ დაიწყო სრული კოლაფსის მდგომარეობიდან რუსეთის გამოსვლა და, უნდა ვინმეს თუ არა, ეს სწორედ ვ. პუტინის პიროვნებას უკავშირდება.**

კიდევ ერთი მითი, **პუტინის მოდერნიზატორობის შესახებ:** იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ პირველი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში პუტინმა მართლაც ბევრი ეკონომიკური რეფორმა გაატარა და საშემოსავლო გადასახადი 13 პროცენტამდე შეამცირა, რამაც, „ნავთობის მზარდი ფასის წყალობით, აშკარა ეკონომიკური აღმასვლა უზრუნველყო“, თუმცა, ამასთან ერთად, რაიტშუსტერი წერს, რომ პუტინმა ძალიან მალე დაიწყო დემოკრატიული და საზოგადოებრივი მიღწევების წინააღმდეგ ბრძოლა. მაგალითად მას НТВ-ის დაშლა მოჰყავს. НТВ-ს დაშლა სინამდვილეში 2001 წლის 14 აპრილს მოხდა, ანუ პუტინის პირველ საპრეზიდენტო ვადაში, რომლის მიმართ რაიტშუსტერი დადებითად არის განწყობილი.

სუბიექტურობა აქ არ მთავრდება. „კგბ“-ს ყოფილი ოფიცერი ყველა მოხერხებულ მომენტში მოდერნიზაციაზე ლაპარაკობს, რითაც დასავლელი დამკვირვებლების აღტაცებას იწვევს, რომლებიც რუსეთს ზედაპირულად იცნობენ. სინამდვილეში ვ. პუტინს ტექნოკრატული დამოკიდებულება აქვს მოდერნიზაციის მიმართ, რაც ძველი საბჭოთა მეთოდების შესწორებასა და შევსებას გულისხმობს: არჩევნების ფალსიფიკაცია – უფრო თანამედროვე მეთოდებით, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება – კიდევ უფრო მოხერხებულად, რეჟიმის მოწინააღმდეგეთა თვალთვალი – კიდევ უფრო დაჟინებულად, ინდუსტრიული შპიონაჟი – კიდევ უფრო დახვეწილი“.

**ქართველი მკითხველისთვის ამის წაკითხვა, ალბათ, ღიმილის მომგვრელია; ყველაფერი, რასაც რაიტშუსტერი ჩამოთვლის, 9 წლის განმავლობაში სწორედ საქართველოში ხდებოდა, მაგრამ სააკაშვილის დასავლელი მეგობრები ამას არც კი აუღელვებია. საქმე ისაა, რომ ყველა ეს „დემოკრატიულად“ წოდებული საყვედური მხოლოდ მაშინ ჩნდება, თუ ლიდერი დასავლეთიდან არ არის მართული და, რაგინდ შეცდომები ჰქონდეს, მაინც საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.**

ის, რომ **„პუტინმა დაჩოქილი რუსეთი ფეხზე წამოაყენა“,** რაიტშუსტერის აზრით, ასევე მითია. მას მიაჩნია, რომ დასავლეთს კვლავ გაუჩნდა რუსეთის შიში მისი წინასწარ განუჭვრეტელი საგარეო პოლიტიკისა და „მსოფლიო ისტორიის ბნელ ლიდერებთან“ კავშირის გამო. ავტორი აქ ბაშარ ასადსა და მაჰმუდ აჰმადინეჯადს გულისხმობს. „იარაღის ჟღარუნი მსოფლიო არენაზე საკუთარი თავის მოტყუებაა, რუსეთის ეკონომიკა არაკონკურენტუნარიანია, არმია სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია, მიუხედავად დანაპირები რეფორმებისა“. ამის წამკითხველს შეუძლებელია, არ გაახსენდეს, როგორ აცხადებდნენ საქართველოს „ნაციონალური ლიდერები“, რომ „რუსებს ჟანგიანი ტანკები ჰყავთ“, მაგრამ მთელი თანამედროვე ამუნიცია სწორედ ამ „ჟანგიანი“ ტანკების პატრონებს დაუტოვეს და ომიც სამიოდე დღეში წააგეს!

კიდევ ერთი მითი, ავტორის აზრით, არის ის, რომ **„პუტინმა ოლიგარქებს ადგილი მიუჩინა“.** საუბარია, რა თქმა უნდა, ხოდორკოვსკის პროცესზე. თუმცა, როგორც ავტორი მიუთითებს, გარდა ხოდორკოვსკის, ბერეზოვსკისა და გუსინსკისა, ელცინის პერიოდის სხვა ოლიგარქებს (იგივე აბრამოვიჩს) „მშვენიერი მდგომარეობა აქვთ ბიზნესში და შეუძლიათ, არ ეშინოდეთ მათი სიმდიდრის წარმომავლობის შესახებ შეკითხვებისა“. რკინის ლოგიკაა: სხვებიც რომ დაეპატიმრებინათ, ვ. პუტინის რეჟიმის „რეპრესიებზე“ ილაპარაკებდენ, რაკი არ დააპატიმრეს, ესეც ცუდ საქციელად ეთვლება!

რაიტშუსტერი ვ. პუტინს მთავარ პრეტენზიას იმაში უყენებს, რომ „მან 13 წლის განმავლობაში გაანადგურა „პერესტროიკის“ ისედაც სუსტი დემოკრატიული მიღწევები: მან მოსპო განსხვავებული აზრი მედიაში, პარლამენტში, სასამართლოში და პოლიტიკური ლანდშაფტი ფარსის ადგილად აქცია“. ამ სიტყვების ავტორს, როგორც ჩანს, სააკაშვილის საქართველოში არ უმოგზაურია, თორემ აქ ჩამოთვლილ „ღირსებებს“ საკუთარი თვალით ნახავდა! რაც შეეხება მედიაში განსხვავებული აზრის მოსპობას, რაიტშუსტერის ეს სტატია არაერთ ავტორიტეტულ რუსულ პორტალზე გამოქვეყნდა.

* * *

რთული წარმოსადგენი არ არის, რომ სპორტულად აღზრდილი ადამიანი, რომელიც წესებს პატივს სცემს, ვერაფრით აიტანდა მიხეილ სააკაშვილს, რომლისთვისაც არანაირი წესი არ არსებობს, ხოლო სპორტული ხასიათისგან ისე შორს დგას, როგორც საერთოდ გაწონასწორებულობისგან. მართალია, **სააკაშვილმა** 2004 წლის აპრილში, ვ. პუტინთან პირველი შეხვედრის შემდეგ გაზეთ „იზვესტიას“ ინტერვიუში განუცხადა: **„მე რომანტიკული ადამიანი ვარ, მაგრამ, მერწმუნეთ, არცთუ ცოტა რამ მინახავს. მას (პუტინს) პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს – ეს სწორედ ასეა. მე მას ვენდე და არ შევმცდარვარ. მან გააკეთა ყველაფერი, რასაც დამპირდა. ამიტომ დღეს რუსეთში თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ, ვიდრე სხვა ქვეყნებში! პუტინი უფრო პრაგმატულია, აზროვნების სტილით უფრო თანამედროვეა, ვიდრე დასავლეთის ბევრი პოლიტიკოსი“.**

ახლა შევადაროთ, როგორ იხსენებს საკუთარ შეხვედრას პუტინთან ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი, სააკაშვილის მეგობარი და მხარდამჭერი **ჯორჯ ბუში უმცროსი: „როცა პრეზიდენტი გავხდი და პუტინი პირველად ვნახე, თვალებში ჩავხედე და მისი სული ამოვიკითხე, თუმცა, შემდეგ წლებში მან ჩემი შეხედულების გადახედვის შანსი ბევრჯერ მომცა. ერთ-ერთი ბოლო შანსი 2008 წელი იყო, როცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა“.**

მართალია, იმ დროს პრეზიდენტი მედვედევი იყო და არა პუტინი, მაგრამ ბუშიც და სააკაშვილიც პასუხისმგებლობას სწორედ პრემიერ-მინისტრს აკისრებდნენ. სააკაშვილმა ომიდან სამი წლის შემდეგ ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში ბელარუს, პოლონელ, სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან შეხვედრისას დ. მედვედევის შესახებ განაცხადა: **„ორი დღის წინ ტელევიზორში თვალი მოვკარი, როგორ ლაპარაკობდა ბევრად უფრო დიდი ქვეყნის პრეზიდენტი ჩვენზე, მიუხედავად იმისა, რომ ის ამდენად დიდი ქვეყნის პრეზიდენტია, რეალურად, ძალაუფლება არ აქვს ან არ მისცეს და რეალურად სხვა ადამიანის ჩრდილქვეშ იმყოფება.**

**მართალია, ეს ინტერვიუ მთლიანად არც მინახავს – სხვაც ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ, როგორც პრესსამსახურის თანამშრომლებმა მითხრეს, ინტერვიუ 55 წუთს გაგრძელდა და აქედან 39 წუთი მე მეძღვნებოდა. ნუთუ იმაზე მეტი საქმე არა აქვს ამხელა ქვეყნის თუნდაც შეზღუდული ძალაუფლების მქონე ლიდერს, რომ საქართველოს პრეზიდენტზე ამდენი იფიქროს? თუკი ჩემზე 40 წუთის განმავლობაში ლაპარაკობს, ალბათ 40 დღე და 40 თვეც ექნება ნაფიქრი“.**

ნუ დავიზარებთ და გადავამოწმოთ საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები. მას ხომ ჟურნალისტებმა „პოლიტიკური პინოქიო“ უწოდეს ტყუილების სიყვარულის გამო. ინტერვიუ, რომელზეც სააკაშვილი საუბრობდა, 2011 წლის 5 აგვისტოს სოჭში აიღო სამმა ჟურნალისტმა ტელეკომპანიებიდან „პიკი“ („პირველი კავკასიური“), Russia Today და რადიოდან „ეხო მოსკვი“. იგი მთლიანად 2008 წლის ომის სამ წლისთავს ეძღვნებოდა და ცხადია, სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხებოდა. სამიდან ორი ჟურნალისტი ქართველი იყო – **სოფო შევარდნაძე** და **ეკატერინე კოტრიკაძე,** ერთი კი სააკაშვილის აშკარა თაყვანისმცემელი – **ალექსეი ვენედიქტოვი.**

ახლა ვნახოთ ფრაგმენტები, რომლებიც სააკაშვილს ეხება. პირველად სააკაშვილს „პიკის“ დირექტორი **ე. კოტრიკაძე** ახსენებს:

**– დავუბრუნდეთ 2008 წლის მოვლენებს. მაშინ, 2008-ში თქვენ შეხვდით საქართველოს პრეზიდენტს – მიხეილ სააკაშვილს. ეს იყო პეტერბურგში. მაშინ თბილისსა და მოსკოვში ისეთი შეგრძნება გაჩნდა, რომ რაღაც კონსენსუსია მიღწეული და კონფლიქტი „ცხელ წერტილამდე“ არ მივა. შეგიძლიათ გვითხრათ, მაშინ საქართველოს პრეზიდენტთან რაიმეზე მოილაპარაკეთ?**

**დ. მედვედევი.:** – იცით, მეც ასეთი შეგრძნება მქონდა. დღემდე მახსოვს, როგორ შევხვდი პირველად პრეზიდენტ სააკაშვილს. ეს იყო პეტერბურგში, ერთმანეთს კონსტანტინეს სასახლეში შევხვდით. ის მოვიდა, მე ასეთი ფრაზა ვუთხარი: „ძალიან ბევრი პრობლემაა რეგიონში, საქართველოში, არაღიარებულ ტერიტორიულ წარმონაქმნებთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც რუსეთის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა თქვენ შეეცადოთ კომპრომისის პოვნას, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს და ხელს შეუწყობს საქართველოს რეინტეგრაციას“. ეს ვუთხარი, „თუ, რა თქმა უნდა, მოლაპარაკების ყველა მხარისთვის მიმზიდველი იქნება“.

ამაზე პასუხად მოვისმინე – დიახ, ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ. და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ, თუ ახალ ფურცელს არ გადავშლით, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ახალი, არასტანდარტული მიდგომები გამოვძებნოთ და რაც მთავარია, რეგულარული ურთიერთობა გვქონდეს. რა ხდება ამის შემდეგ? მახსოვს, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა ასტანაში შედგა. რაში მდგომარეობდა იგი? მაშინ შევთანხმდით, რომ დავსხდებით და სერიოზულად მოვილაპარაკებთ. ვუთხარი: – ჩამოდით სოჭში, წყნარად დავილაპარაკებთ ყველა პრობლემაზე. მიპასუხა, რომ ამისთვის მზად იყო.

გულახდილად გეტყვით, ამის შემდეგ ერთი თვე ვამოწმებდი, არის თუ არა რაიმე ინფორმაცია ჩვენი ქართველი პარტნიორისგან. არ იყო. მაგრამ, სამაგიეროდ, ამ პერიოდში საქართველოში ვიზიტებს მოუხშირეს, როგორც საბჭოთა პერიოდში იტყოდნენ, ოკეანისგაღმელმა ემისრებმა. ჩემთვის საკმარისად თვალსაჩინო მომენტი იყო (ეს არაერთხელ გავაანალიზე შემდგომში) იმ პერიოდში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის – კონდოლიზა რაისის ვიზიტი. ამის შემდეგ ჩემი კოლეგა „კავშირიდან გავიდა“, ურთიერთობა შეწყვიტა, აღარც იწერებოდა, არც რეკავდა. როგორც ჩანს, ახალი გეგმები გაჩნდა და განხორციელდა კიდეც.

**საუბარში ა. ვენედიქტოვი ერთვება და ისიც სააკაშვილზე სვამს კითხვას:**

**– სწორად გაგიგეთ? მიგაჩნიათ, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი წარმოადგენდა სააკაშვილისთვის ბიძგს კონფლიქტის წამოწყებისთვის? რომ აშშ განზრახ უბიძგებდა სააკაშვილს ამ მიმართულებით?**

**დ. მედვედევი.:** – არა, ასე არ ვფიქრობ. აშშ მაინც ძალიან დიდი ქვეყანაა, რომელსაც პრაგმატული ადამიანები ხელმძღვანელობენ, მაგრამ პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია დეტალები და ნიუანსები. ჯერ კიდევ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვიყავი, როცა თეთრ სახლში ჩავედი და იმავე კონდის **(კონდოლიზა რაისს. – რედ.)** და პრეზიდენტის აპარატის უფროსს შევხვდი. მოვიდა ჯორჯ ბუში. მისალმების შემდეგ პირველი, რაც მითხრა, ეს იყო: „მიშა სააკაშვილი კარგი ბიჭია?“ ვუპასუხე: „ბატონო პრეზიდენტო, არ ვიცი, მე მას არ ვიცნობ, შეიძლება გავიცნო“. სამწუხაროდ, ეს სიტყვები ცუდი გაგებით წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ხაზს ვუსვამ – ეს იყო პირველი სიტყვები, რითაც ჯორჯ ბუშმა მომმართა.

**არ მიმაჩნია, რომ ამერიკელები უბიძგებდნენ საქართველოს ხელმძღვანელს აგრესიისკენ, მაგრამ ვფიქრობ, რომ გარკვეული ნიუანსები, გარკვეული აქცენტები, სიტყვები იმის შესახებ, რომ დროა, კონსტიტუციური წესრიგი აღდგეს, რომ უფრო გადამწყვეტი მოქმედების დრო დადგა, ყოველივე ამას შეეძლო იმ იმედების გაღვივება, რომ კონფლიქტის წარმოშობისას „ამერიკელები არ მიგვატოვებენ, დაგვიცავენ, ბოლოსდაბოლოს, ომში ჩაერთვებიან რუსებთან“.** ამიტომაც ვუკავშირებ ამ ვიზიტს შემდგომ მოვლენებს, ისევე, როგორც ჩემს სატელეფონო საუბარს თეთრი სახლის ხელმძღვანელთან და შემდგომ უკვე პირად შეხვედრებს.

(გაგრძელება იქნება)

ძიუდო

# ხუთეულის სამი ჯილდო




**ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელსაც საქართველოს დედაქალაქი 2015 წელს უმასპინძლებს, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სპორტის ისტორიაში.**

17 წლამდე ასაკის ბიჭები და გოგონები, ანუ ისინი, ვინც „თბილისი 2015“-ის ევროპის ოლიმპიურ ფესტივალზე უნდა იასპარეზონ, აქედანვე მონდომებით ემზადებიან მომავალი ფორუმისთვის.

ყაზახეთის ქალაქ კემისტაუში ახალგაზრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში თამაზ კარიაულის ხელმძღვანელობით 4 ქართველი ვაჟი და 1 გოგონაც მონაწილეობდა. ჩვენმა სპორტსმენებმა გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო პირადში ვანო კუბლაშვილმა (50 კგ) ხუთივე პაექრობა დამაჯერებლად მოიგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 66 კილოში მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და 57 მონაწილეს შორის ვერცხლის მედალი ხვდა ნიკა ლაბაძეს, 44 კილოში კი მესამე იყო ნატა ყიფშიძე.

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# ამბროლაურმა უმასპინძლა

**საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთის, სომხეთისა და უზბეკეთის 207 ჭაბუკი მოჭიდავე მონაწილეობდა გამოჩენილი ქართველი ფალავნის, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ გურამ საღარაძის სახელობის ტურნირში, რომელსაც ამროლაურმა უმასპინძლა. მსგავსი შეჯიბრება აქ მეათედ გაიმართა.**



მოასპარეზეებსა და სტუმრებს მიესალმა და გურამ საღარაძის ღვაწლზე ილაპარაკა ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ. შემდეგ გაიმართა პაექრობები. გამარჯვებულები და პრიზიორები ორ ასაკში გამოვლინდნენ. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

**12-13-წლიანებში:** აბას მაგამედოვი (დიღომი), გიორგი გოგრიჭიანი (ამბროლაური), ლუკა ჩხიტუნიძე (საჩხერე), გუკა შეშელიძე (ბათუმი), ნიკოლოზ გოგრიჭიანი, გიორგი ელბაქიძე, ვლადიმერ გამყრელიძე (ამბროლაური), გორ აკობიანი, დავიდ გეორგიანი (სომხეთი), გიგი გოგობერიშვილი (ამბროლაური), დავით ქოჩქიანი (თბილისი).

**1998-1999 წ.წ. დაბადებულები:** შარზოდ შასუტდინოვი (უზბეკეთი), ბაჩუკი არველაძე (თბილისი), აკაკი ლომიძე (ხაშური), აბობოს რახმანოვი (უზბეკეთი), თორნიკე კვინიკაძე (ხაშური), ივერი ჯულუყიძე (სამტრედია), დემურ მეგენეიშვილი (სამტრედია), ლაშა ხუბაშვილი (თბილისი), მახრიდინ სუიაროვი (უზბეკეთი), გიორგი შამათავა (თბილისი).

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# ანას შემოდგომა



**შარშან ანა ტატიშვილი WTA-ს კლასიფიკაციით 50-ე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ ტრავმების გამო ჩავარდნები ჰქონდა და რეიტინგის მეორე ასეულში გადაინაცვლა.** და აი, ერთი თვეა, ტატიშვილი წარმატებით გამოდის ამერიკულ ტურნირებში, რამაც დადებითად იმოქმედა მის მაჩვენებლებზე. ამჟამად იგი 499 ქულით 125-ეა. დანარჩენ ქართველთა სარეიტინგო მონაცემები ასეთია: 224 (229). სოფო შაფათავა (262), 281 (278). ოქსანა კალაშნიკოვა (182), 464 (482). მაკა ჩახნაშვილი (74), 523 (560). ეკატერინე გორგოძე (61), 727 (724). სოფო ქვაცაბაია (28), 1195 (1195). თამარ ჭალაგანიძე (3), 1203 (1206). მარიამ ბოლქვაძე (3).

**ლაშა დიდია**

მემორიალი

# გვახსოვხარ, დიდოსტატო!



**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან მოედანზე დასრულდა სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის დავით ყიფიანის მემორიალი, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობდა.**

ტურნირს სასელექციო ფუნქციაც ჰქონდა — შეირჩნენ ამ უმაღლესი სასწავლებლის ნაკრების კანდიდატები, მას კი, მოგეხსენებათ, საამაყო ტრადიციები გამოარჩევს.

ალსანიშნავია თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის წლევანდელ კურსდამთავრებულთა გუნდ „ვეტერანების“ წარმატება, რომლებმაც სწავლა მაგისტრატურაში განაგრძეს და ხსოვნის ტურნირის ფინალშიც გავიდნენ, თუმცა გადამწყვეტი ბრძოლა პენალტებით დათმეს „კატენაჩიოსთან“ — 2:4 (ძირითადი დრო — 5:5). მესამე ადგილი „თბილისი სიტიმ“ დაიკავა.



ხსოვნის ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულ თენგიზ სისორდიასთან ერთად კარგი თამაშით დაგვამახსოვრეს თავი გიორგი ჭუმბურიძემ, რევაზ მანჯგალაძემ, გიორგი კიკვილაშვილმა, დავით შველიძემ, გიორგი პაიჭაძემ, მირიან ჯიქიამ, გიორგი სალინაძემ, თემურ მჭედლიშვილმა და ლაშა ოსეფაშვილმა.

როგორც ყოველთვის, მემორიალის ორგანიზატორობას ამჯერადაც ღირსეულად გაართვეს თავი აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა კახა აბულაძემ, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ზაურ ფხალაძემ და ამავე ცენტრის თანამშრომელმა, თსსუ-ის ნაკრების მწვრთნელმა, ხსოვნის ტურნირის მთავარმა მსაჯმა ვახტანგ ბაქანიძემ. აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და ბატონ ვახტანგს ვულოცავთ საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭებას.

**გიორგი შოთაძე**

ფეხბურთი

# ერიქსონს ინგლისის ჩემპიონობის არ სჯერა

**შვედი სპეციალისტი სვენ-იორან ერიქსონი მიიჩნევს, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ფავორიტი არაა. ინგლისელთა ყოფილი დამრიგებლის თქმით, როი ჰოჯსონს ზედმეტად ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს.**



„არ მჯერა იმის, რომ ინგლისის ნაკრები ბრაზილიაში თასს აწევს. ვფიქრობ, ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელებისთვის ასეთი ტიტული ნაადრევია. მათ გამოცდილება აკლიათ. ინგლისს ნიჭიერი თაობა ეზრდება, რომელიც, ალბათ, მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მოსაგებად იბრძოლებს.

საერთოდაც, ევროპულ ნაკრებებს ბრაზილიაში წარმატების მიღწევის ნაკლები შანსი აქვთ. სამხრეთ ამერიკაში თავისებური კლიმატია, რასაც ევროპელები არ არიან ჩვეულნი“, — განუცხადა ერიქსონმა ბრიტანელ ჟურნალისტებს.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

## გრეისი კარვალიო ჭორებს გამოეხმაურა



**ბოლო პერიოდში მსოფლიოს არაერთი „ყვითელი“ ჟურნალი წერდა, დანი ალვეშისა და ბრაზილიელი მოდელის გრეისი კარვალიოს შესაძლო რომანის შესახებ. პაპარაცებს ეს წყვილი ერთად რიოს ერთ-ერთ კარნავალზე დაუნახავთ და სალაპარაკოც გასჩენიათ.**

თავიდან „ბარსელონას“ მცველი და მისი თანამემამულე ლამაზმანი საერთოდ არ აკეთებდნენ ამ ფაქტზე კომენტარს და მრავლისმთქმელი დუმილით პასუხობდნენ ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს. თუმცა, როდესაც ჟურნალისტებმაც გული გააწვრილეს, სიჩუმე ისევ გრეისიმ დაარღვია.

„მე მესმის, რომ მედია სკანდალებზე ნადირობს, მაგრამ ამჯერად მათ გული უნდა დავწყვიტო და განვაცხადო, რომ ჩემსა და დანიელს შორის არაფერი მომხდარა“ — ირწმუნება მშვენიერი გრეისი, რომელიც ბრაზილიელ მოდელებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველადაა მიჩნეული. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, მისი ფოტოსურათების დათვალიერებას გირჩევდით.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ გამოიცა

# მსოფლიოში პირველი წიგნი ცხენოსნობით მკურნალობის შესახებ

**ახლახან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ დიმიტრი წვერავას მონოგრაფიული ნაშრომი „იპოთერაპია“ (რაიტთერაპია). ეს წიგნი პირველია მსოფლიოში, რომელიც მიეძღვნა ცხენოსნობით მკურნალობას - იპოთერაპიას.**

გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრაზე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ექიმი-მკვლევარი და ამავე დროს მაღალკვალიფიციური სპორტსმენი-ცხენოსანი დიმიტრი წვერავა თავდაპირველად, ემპირიულად და მხოლოდ საკუთარი ინტუიციის საფუძველზე წარმართავდა ცხენოსნობით „მკურნალობას“. ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად გამოვლენილი გარკვეული კანონზომიერებების დაზუსტების და გაღრმავების მიზნით, იგი შეუდგა ამ უნიკალური სამკურნალო მეთოდის მეცნიერულ შესწავლასა და ანალიზს. შეიმუშავა ცხენოსნობით მკურნალობის მეთოდური ნაირსახეობები ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორებიცაა: ბავშვთა ცერებრული დამბლა, სხვადასხვა ხარისხის სკოლიოზი, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევები და სხვა. ეს მეთოდები აღიარეს არა მარტო იმდროინდელი საბჭოთა კავშირის სპორტული მედიცინის მესვეურებმა, არამედ იპოთერაპიის საერთაშორისო ასოციაციამ, რომლის ვიცე-პრეზიდენტადაც აირჩიეს პროფესორი დიმიტრი წვერავა. მის მიერ შემუშავებული იპოთერაპიის ორიგინალური მეთოდიკები არსებითად პირველი იყო მსოფლიოში და ფართოდ დაინერგა ზოგიერთ ქვეყანაში.

პროფესორ დიმიტრი წვერავას მონოგრაფია რუსულ ენაზე გამოიცა კიევში საგამომცემლო სახლ „უკრაინული მედია ჰოლდინგის“ მიერ. იგი თარგმნილია ინგლისურ ენაზეც და უახლოეს ხანებში იპოთერაპიის საერთაშორისო ასოციაციის ინიციატივით გამოქვეყნდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.




დიმიტრი წვერავას მონოგრაფია წარმოადგენს 60-წლიანი ინტენსიური მუშაობის, მრავალმხრივი გამოკვლევების და ფიქრის უნიკალურ ნაყოფს. მონოგრაფიაში ავტორმა განაზოგადა და ყოველმხრივ გააანალიზა მრავალი წლის განმავლობაში მიღებული ექსპერიმენტული და კლინიკურ-ფიზიოლოგიური მეცნიერული მონაცემები. დამაჯერებლადაა წარმოდგენილი და დასაბუთებული ის უპირატესობანი, რაც, სხვა ფიზიკურ სამკურნალო საშუალებებთან შედარებით, ახასიათებს იპოთერაპიას — ამ მეტად ეფექტიან მეთოდს. უნდა აღინიშნოს, რომ რაიტთერაპია, ფიზიკურ გადახრათა და ნაკლოვანებათა კორექციის გარდა, აწესრიგებს პაციენტთა ფსიქო-ემოციურ სფეროს, კერძოდ, იოლად ხსნის ფსიქოგენურ სტრესს, რაც სხვა პირობებში მხოლოდ ფსიქოტროპული პრეპარატებით იკურნება. წიგნის ზოგი თავების შექმნაში კონკრეტული დაავადებების მიხედვით მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები, ძირთადად ბატონ დიმიტრის მოწაფეები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული მეთოდიკების შემუშავებასა და მკურნალობის დახვეწაში. ამასთან ერთად, წიგნში მოკლედ და საინტერესოდ არის გადმოცემული ზოგადად ცხენოსნობისა და, კერძოდ, იპოთერაპიის ისტორიაც.

მონოგრაფიის ძირითადი ამოცანაა ექიმების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, პედაგოგებისა და საერთოდ, მოსახლეობის გაცნობიერება მომავალი თაობის და ზრდასრულთა სნეულებების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი, ეფექტიანი და ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე მოქმედი მეთოდის შესახებ..

წიგნი განკუთვნილია პროფესიონალების, კერძოდ მედიცინის მუშაკების (პედიატრების, ნევროლოგების, კარდიოლოგების, ორთოპედების, სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის წარმომადგენლების, ტრავმატოლოგების), ფსიქოლოგების, ფსიქიატრების, სოციოლოგების, პედაგოგების და სხვა სპეციალისტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებით, მრავალი დაავადების განკურნებით, ფიზიოლოგიური და ფიზიკური დარღვევების აღმოფხვრით ფარმაკოლოგიური მეთოდების მინიმალური გამოყენებით.

მონოგრაფია თავისი მაღალი მეცნიერული დონით, დიდი თეორიული, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მნიშვნელობით, მკურნალობის ამ ახალ და უაღრესად საინტერესო მიმართულებაში მსოფლიო მასშტაბით პრიორიტეტის დაფიქსირებით, ღირსია აღნიშნულ იქნას სახელმწიფო ან შესაბამისი სახელობითი პრემიის მინიჭებით.

**გურამ ბექაია,**
**პროფესორი, საქართველოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი;**
**ნოდარ მითაგვარია,**
**პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.**

---

**დები მედიკო, ნანი დიდიძეები, დისწულები რუსუდან, ლალი, თამრიკო დურგლიშვილები, თამილა, მამუკა კანდელაკები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ცაცა ივანეს ასული დიდიძე**

**პანაშვიდი 5, 6 XI, 4 სთ. დიღმის მასივი, II კვარტ. 14 კორპ. I სადარბაზო, ბინა 16.**

---

**ბელა დურგლიშვილი, ანზორ, თეონა, ეკატერინე ლომთაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული და კეთილშობილი ქალბატონი**

**ცაცა დიდიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ მის ახლობლებს.**

---

◉ ალიან-ჩალიანი

## დააკავეს ორი თურქი ნარკორეალიზატორი

**კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე - 1977 წელს დაბადებული იუსუფ ბ. და 1991 წელს დაბადებული მურათ ქ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.**

**შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი და „სუბოქსინის“ აბის 2 ნატეხი ამოიღეს.**

**ექსპერტიზის დასკვნით სულ ამოღებულია 5,9 გრ ჰეროინი და 0,0066 გრ „ბუპრენორფინი“.**

**ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ დაკავებისას მურათ ქ. ნარკოტიკული საშუალება ოპიუმის და მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.**

**გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.**

## შსს-მ ძებნილი ბანგლადეშის მოქალაქე დააკავა

**შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, 1975 წელს დაბადებული, თბილისში დროებით მცხოვრები ბანგლადეშის მოქალაქე ჯამალ ჰ. დააკავეს.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პიროვნება თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ 2012 წლის 9 აპრილიდან ავტომანქანის ქურდობისთვის იძებნებოდა.**

**ამჟამად დაკავებული სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაშია გადაყვანილი.**

ინტერპრესი

---

◉ კომუნალური ვაუჩერი

## მერიის საგადასახადო დახმარება

**ელექტროენერგიის მოხმარების მატება წლის ცივ დროში ჩვეული ამბავია. მოსახლეობისთვის მისი გადასახადის ტვირთის შესამსუბუქებლად თბილისის მერიამ კომუნალური ვაუჩერი რამდენჯერმე უკვე დაარიგა. ასე იქნება ამ ჯერზეც: ამ დღეებში თბილისელებს ნოემბრისა და დეკემბრის ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების გადასახადის დასაფარავად ყოველ აბონენტზე 20-20 ლარის თანხა დაერიცხებათ.**

ამასთან დაკავშირებით დედაქალაქის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში განაცხადეს, რომ თბილისის წლევანდელ ბიუჯეტში კომუნალური ვაუჩერებისთვის თითოეულ აბონენტზე ასი ლარია გამოყოფილი. აღნიშნული თანხა ხუთ თვეზე გადანაწილდა, რომლის ნაწილი, 20-20 ლარის ოდენობით, მოსახლეობამ იანვარში, თებერვალსა და მარტში უკვე მიიღო, დარჩენილი 40 ლარი კი ნოემბერსა და დეკემბერში თბილისის დაახლოებით 400 ათასი აბონენტს შესაბამისად ყოველთვიურად დაერიცხება, რაც კომუნალური გადასახადის შესაბამის ქვითარზე იქნება მითითებული. მერიის ვაუჩერის 20 ლარი ყოველთვიურად სამ კომპონენტზე განაწილდება — მოხმარებულ ელექტროენერგიასა, სასმელ წყალსა და დასუფთავებაზე.



გარდა ამისა, კომუნალური გადასახადების ვაუჩერებთან ერთად სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ვისაც 70 ათასზე ნაკლები სარეიტინგო ქულა აქვს მინიჭებული, პირად ანგარიშზე დამატებით 50 ლარი დაერიხებათ. თბილისის წლევანდელ ბიუჯეტში თითოეულ 40 ათასზე მეტ ასეთ ოჯახზე 150 ლარის სოციალური დახმარებაა გათვალისწინებული, რა თანხიდან 50-50 ლარი მათ აპრილსა და აგვისტოში დაერიცხათ, დანარჩენ 50 ლარს ისინი დეკემბერში მიიღებენ.

**ნინო ალექსანდრია**

---

◉ სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი...

## „ქართული ბაღი“ ლოს-ანჯელესში

**გახარებულია ოლეგ ლომთათიძე — კაი ქართველი კაცი, ჩვენი კაი მეზობელი: როგორი საქმეა — 12 წლის უნახავი დედა ჩამოუვიდა ლოს-ანჯელესიდან... მხვდება სადარბაზოსთან, შემოდი ერთი, შემოდი, მარგო უნდა გაგაცნოო... შევყევი, წარმადგინა, ესაო, ისაო, აუხსნა... შესანიშნავად გამოიყურება 88 წლის ქალბატონი მარგო ბარამიძე. თავის დროზე ბათუმში ბიოლოგია-ქიმიის პედაგოგი, ათას ჭირ-ვარამნანახი, საყვარელი მეუღლე და ბევრი ახლობელი ადამიანი რომ დაიტირა და მაინც იმედიანად შეჰყურებს შვილებისა და შვილიშვილების მომავალს...**

— თორმეტი წლის წინათ, ჩემი სიძისა და ქალიშვილის ოჯახი ამერიკაში რომ მიდიოდა, — მიამბობს ქალბატონი მარგო, — გადაჭიჭინდა გიორგი — ჩემი შვილიშვილი, ბებოს აქ როგორ დავტოვებთ, შეიძლება არც დაგვხვდეს ცოცხალიო, უმისოდ მე ამერიკაში წამომსვლელი არ ვარო... წავედით და, აი, როგორც ხედავთ, „გავხდი“ ამერიკელი.

— არ მჯერა, ქალბატონო მარგო... ეს გურული აქცენტი, მაშინ, საიდან?

— ვხვდებით ერთმანეთს ქართველები, კარგი ურთიერთობები გვაქვს.

— ოლეგი გვიყვება ბიჭებს, დედაჩემს ლოს-ანჯელესში ბაღი გაუშენებია,. „ადესა“ დაუწურიაო...

— სწორი უთქვამს... ჩვენს სახლთან ახლოს კარგა მოზრდილი მიწის ფართობია, სადაც მეც შემხვდა (ერთი ქართველი ებრაელის დახმარებით) ნაკვეთი. დავრგე ვაზი — რა თქმა უნდა, „ადესის“ ჯიში, გავაშენე ბოსტნეული — კიტრი, პამიდორი, მწვანილი... ნოყიერი მიწაა... მოკლედ, თავს ვირთობ, თან ამით, საქართველოს სიახლოვეს ვგრძნობ, რაც, ასე თუ ისე, მიხანგრძლივებს სიცოცხლეს...

— ამ ორ კვირაში, როგორც ვიცი, ახლობლები მოიარეთ...

— სამწუხაროდ, ბევრი გარდაცვლილა, რასაც ტელეფონით არ მიმხელდნენ ოლეგი და ჩემი კარგი რძალი გულო... მოვინახულე დები, რომლებიც ჩემზე უფროსები არიან...

— აი, მესმის ჯიში...

— მაშ!.. არადა, რა გაჭირვება გამოვიარეთ...

— რა მოგეწონათ, იმ ჩვენს „მოძმე“ ამერიკაში, ქალბატონო მარგო?

— უფროსებისადმი, მოხუცებისადმი დიდი პატივისცემა... დიდი შრომისმოყვარეობა, რაც, სწორედაც, რომ სამაგალითოა ჩვენთვის...

— რომ წახვედით, სააკაშვილი მოდიოდა „მეფედ“, ჩამოხვედით და სრულიად სხვა ხალხი დაგხვდათ... რას ფიქრობთ დღევანდელ საქართველოზე, მის ხვალინდელ დღეზე?..



— თავიდან, როგორც ბევრი ჩვენგანი, მეც „მიშისტი“ ვიყავი, ანუ ხელისუფლებაში ახალგაზრდის მოსვლას ვუჭერდი მხარს, მაგრამ, რაც ყოფილა, ზედვე ეტყობა საქართველოს... ვნახოთ, რა იქნება ხვალ-ზეგ...

— იქ ინფორმაციები ბლომად მოგდით საქართველოს შესახებ?..

— უამრავი, სხვათა შორის, უმეტესობა მიშას მხარდამჭერია, მაგრამ იქ ხომ თითქმის არ იციან, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში...

— სულ კარგი ამბები გაგეგოთ, ჩვენს შესახებ, ქალბატონო მარგო!..

— ღმერთმა ინებოს!..

**ვილენ მარდალეიშვილი,**

**სურათზე: მარგო ბარამიძე თავის ვენახში ლოს-ანჯელესში.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი

**მართალია, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ისე ხდება, რომ დღე ჩვეულებრივად მიდის, მაგრამ, უცბად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, გუნება გიფუჭდებათ, თავი გტკივდებათ, ყველაფრის ხალისი გეკარგებათ, ძალები გეცლებათ და ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს ლიმონივით გამოგწურეს. რა ხდება ამ დროს, დაღლილობის რაღაც იდუმალი სინდრომი გეუფლებათ? თურმე, სულაც არა. გირჩევთ ირგვლივ დაკვირვებით მიმოიხედოთ, რადგან სავსებით შესაძლებელია, რომ თქვენს მახლობლად... ვამპირი იმყოფება. ლაპარაკია ენერგეტიკულ ვამპირზე.**

ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ ენერგეტიკული ვამპირის გამოცნობა რამდენიმე ნიშნის მიხედვითაა შესაძლებელი.

1. ვამპირები უაღრესად ეჭვიანი, ეგოისტი და აბეზარა ხალხია. ისინი თანამოსაუბრეს არ უსმენენ, რადგან გარშემო მყოფთა აზრი, მათი სურვილები, განცდები და პრობლემები არაფერში აინტერესებთ;

# ენერგეტიკული ვამპირები



2. ისინი საათობით ლაპარაკობენ ტელეფონით, თანაც, ჩვეულებრივ, ან დილით ადრე, ან გვიან საღამოთი რეკავენ, როცა ყველას სძინავს და ლაპარაკის დაწყებისთანავე მოსაუბრეს სრული პროგრამით „ტვირთავენ“. არადა, ლაპარაკი, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერზეა და უბრალო „ენის ფხანას“ უფრო ჰგავს, მაგრამ საუბრის დასრულების შემდეგ თქვენ თავს დაღლილად და დათრგუნვილად გრძნობთ. ასეთი ხალხისგან თავის დაღწევა მხოლოდ ტელეფონის გამორთვით შეიძლება;

3. არსებობს მოსაზრება, რომ ვამპირების თანდასწრებით ნებისმიერი ტექნიკა მწყობრიდან გამოდის, ოთახის ყვავილები კი ჭკნება;

4. ვამპირებს არ უყვართ ცხელი ჩაი და ყავა, მათ გაციებული სასმელი ურჩევნიათ;

5. ასევე უყვართ ხალხში – რიგებში, დემონსტრაციებზე, დიდ მაღაზიებში ყოფნა. ყველგან, სადაც რაიმე უსიამოვნება, ჩხუბი, აყალმაყალი წარმოიქმნება, სიახლოვეს ენერგეტიკული ვამპირი უნდა ეძებოთ, რადგან სკანდალი მისთვის დამატებითი ენერგიის მიღების წყაროა;

6. ვამპირები ყოველთვის გვაღიზიანებენ და მწყობრიდან გამოვყავართ, რასაც გამუდმებით აკეთებენ. დამქანცავი კინკლაობის მიზეზად უმეტესად რაიმე უმნიშვნელო წვრილმანი ხდება ხოლმე. ვამპირების ენერგიის მიღების კიდევ ერთი გავრცელებული ხერხია თანამოსაუბრის ხალხის თანდასწრებით დამცირება;

7. ისინი მუდამ ფულის სესხებაში არიან, თუმცა, კი ვალს არასოდეს აბრუნებენ და მუდამ ტყუილ დაპირებებს იძლევიან;

8. ვამპირები ეჭვიანი და შურიანი ხალხია, რომლებიც მუდამ თავის შეხსენებას ცდილობენ – უცერემონიო სტუმრობით, ხმამაღალი ლაპარაკით და გაუთავებელი ყბედობით.

**ენერგეტიკული ვამპირების ორი ტიპი არსებობს: აქტიური (აგრესიული) და პასიური (მშვიდი), თუმცა კი არსი ერთი აქვთ – თქვენი ენერგია მათთვის უფრო მოსახერხებელი გზით მიაქვთ.**

აგრესიული ვამპირები დაუფარავად მოქმედებენ – ისინი კამათში გიწვევენ, უსიამოვნებაზე გიწვევენ, ყოველთვის რაღაცაში გადანაშაულებენ, მუდამ პოულობენ უთანხმოების მიზეზს. თუ ჩვენ სიმშვიდეს შევინარჩუნებთ და ვამპირს არ ავყვებით, იგი ენერგიას ვერ მიიღებს, მიზნის მისაღწევად მას მეტი ძალისხმევა დასჭირდება: თუ აწყობს, შეურაცხყოფას მოგაყენებთ და თუ ამანაც არ გაჭრა –მუშტი-კრივზე გადმოვა, მოკლედ, სულს ამოგხდით.

სხვაგვარად იქცევა „მშვიდი“ ვამპირები. თვალის ერთი გადავლებით ისინი ძალიან მშვიდი, თითქოსდა უწყინარი ხალხია, მაგრამ გულში შური, ბოღმა, სიძულვილი ახრჩობთ, რასაც გარშემო მყოფთაგან მოხერხებულად მალავენ. ასეთი კაცი საუბრისას თითქოს კეთილშობილებას, გონივრულობას ავლენს, მაღალი ზნეობის მომხრის პოზიციიდან ლაპარაკობს, ვიღაცებს ცხოვრების ჯანსაღი წესით ცხოვრებას უქადაგებს, გზააცდენილებს მისტირის, ზოგჯერ თქვენს ტკივილსაც იზიარებს, მაგრამ ამის შედეგად თქვენ თავს გაცილებით უარესად გრძნობთ, ვიდრე „თანაგრძნობის გამოხატვამდე“ იყავით.

**ვამპირებთან შებრძოლების ყველაზე ქმედითი ხერხია სიმშვიდის შენარჩუნება, საკუთარი ემოციების დაოკება.** ეს იმას ნიშნავს, რომ პოზიტიური ემოციები ვამპირს ენერგიას არ აძლევს, სწორედ ამიტომ ცდილობს იგი წონასწორობიდან თქვენს გამოყვანას. **მის დასაბლოკად საკუთარი ბიოველი უნდა გამოიყენოთ, რისთვისაც საუბრისას ხელ-ფეხი გადააჯვარედინეთ. უსიამო კაცთან შეხვედრისას გონებით წარმოიდგინეთ, რომ თქვენს შორის სარკის კედელია, რომელიც გამოსახულებას ამ პირის მიმართულებით ირეკლავს. ამ ვითარებაში იგი ვეღარ შეძლებს თქვენგან ენერგიის მიღებას და თავს დაგანებებთ. აგრესიულ ვამპირთან შეხვედრისას საუკეთესო ხერხია მისი გუნებაში, ანდა, სულაც, ხმამაღლა შეცოდება. გუნებაში წარმოიდგინეთ, რომ ის პატარა ბავშვია, თქვენ კი მისი მშობელი ხართ. მერე კი თავზე ხელი „გადაუსვით“ და „უთხარით“, რომ ის კარგი ბავშვია. გაგიკვირდებათ, თუ რაოდენ ქმედითია ეს ხერხი!**

მშვიდ ვამპირთან შეხვედრისას, როცა ასეთი კაცი თავის ბედზე დაიწყებს წუწუნს, გუნებაში უნდა იფიქროთ: „ყველაფერი ისევ შენი ბრალია, ჩემო კარგო“ – ცხოვრებაში ხომ ყველანი ძირითადად იმას ვიმკით, რასაც დავთესთ.

## ცინცხალი ანეკდოტები

**ფსიქიატრიული საავადმყოფოს მოღიავებულ პალატაში წყნარად ზის მოწყენილი პაციენტი.**

**– ეს უბედური მაშინ შეირყა, როდესაც მისი საცოლე სხვას მისთხოვდა.**

**მეორე, ჩარაზულ რკინისკარებიან საკანში ვიღაც შმაგობს.**

**– ეს სწორედ ის სხვაა...**

* * *

**მაღალი და გამხდარი გოგო ბიჭს ეცნობა:**

**– მე მოდელი ვარ!**

**– რომელი წლის გამოშვება? რაღაც უხეირო დიზაინია...**

* * *

**– უკაცრავად, ეს თქვენ დაგაბიჯეთ ფეხი, როდესაც დარბაზიდან გავდიოდი? – ეკითხება ტიპი მაყურებელს ანტრაქტის დამთავრების შემდეგ.**

**– დიახ.**

**– წამოდი, ძვირფასო ეს ჩვენი რიგია, – ეუბნება ტიპი ქალს.**



* * *

**– როგორ გავარჩიოთ სასამართლო აღმასრულებლის ფორმაში გადაცმული თაღლითი, რომელიც თქვენს კარზე რეკავს, ნამდვილი სასამართლო აღმასრულებლისგან?**

**– ???**

**– უბრალოდ, ნუ გაუღებთ კარს. უწყინარი თაღლითები წყნარად გაეცლებიან თქვენს ბინას, ნამდვილი სასამართლოს აღმასრულებლები კი კარის ანჯამებს ჩაგიჭრიან.**

* * *

**სტუდენტი ბიჭი თანაკურსელ გოგონასთან გვიანობამდე დარჩა და სთხოვა, ღამით შენთან დავრჩებიო.**

**– კარგი, მაგრამ მარტო ერთი საწოლი რომ მაქვს?**

**– არა უშავს, ეს საწოლი შუაში ზონრით გავყოთ, ერთი ნახევარი შენი იყოს, მეორე კი – ჩემი. ნუ გადავძვრებით იმ ზონარზე და მორჩა.**

**ასეც მოიქცნენ. მეორე დილით ლექციებზე მიდიან. გოგო საშინლად გაბრაზებულია.**

**მისი ხასიათის გაუმჯობესების მიზნით ბიჭი ეუბნება, – თუ გინდა, იმ მესერზე გადავძვრები და ვარდებს დაგიკრეფო.**

**– მესერზე გადაძვრები კი არა, ზონარზე გადაძრომაც არ შეგიძლია! – გესლავს გოგო.**

## მილოცვა

საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს, შრომის ვეტერანს, კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ ღვაწლმოსილ თანამშრომელს, ბატონ ** იროდიონ ჩალაძეს** ვულოცავთ ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს, დაბადების 80 და შრომითი საქმიანობის 60 წელს, იყავით დღეგრძელი და ბედნიერი!

კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო“

## ჩვენი პრესდაიჯესტი

ჟურნალ–ი გაზეთებიდან



### „ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრის პოსტზე დარჩება“

– ამბობს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი, – ამაზე საუბარი არ არის და ის მოსალოდნელი არ არის. საიდან ვიცი, რომ მოსალოდნელი არ არის? როდესაც ივანიშვილმა უმრავლესობას ღარიბაშვილი წარუდგინა, პირველი სიტყვა, რომელიც ღარიბაშვილმა თქვა, იყო – მე კოალიციას ზიანს არ მივაყენებ და კოალიციის წინააღმდეგ არ ვიმოქმედებ. ყველას შესანიშნავად ესმის ირაკლი ალასანიას შეცვლის შემთხვევაში რა მოხდებოდა...

**„ახალი თაობა“**

### რეკორდული შედეგი – ქვეყანაში 210000 ტონა ხორბალს ელოდებიან

**ხორბლის** ნათესებმა ბოლო წლების რეკორდი მოხსნა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ხორბალი 80 ათას ჰექტარზე დაითესა, სავარაუდო მოსავალი კი 210 ათასი ტონა იქნება. ასეთი მაღალი მოსავალი 2003 წლის შემდეგ აღარ ყოფილა.

**„რეზონანსი“**

### 200-ზე მეტმა სვანმა ფიცი დადო

**სვანეთში,** სოფელ ხაიშში „ხუდონჰესის“ მშენებლობის წინააღმდეგ ადგილობრივები ფიცის დადებას განაგრძობენ. ისინი 3 ნოემბერს ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში შეიკრიბნენ და ფიცი დადეს. მათი რიცხვი 200-ზე მეტს შეადგენდა. როგორც ადგილობრივი სკოლის პედაგოგი აკაკი ზუმბაძე აცხადებს, ფიცს დებენ არა მარტო ხაიშის, არამედ მთელი სვანეთის მცხოვრებლები. ისინი აცხადებენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდებიან „ხუდონჰესის“ აშენებას.

**„ალია“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24